სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია. წელიწადი პირველი. ბრძოლაში ჰპოვებ შენს უფლებას!

ოთხშაბათი, 9 ოქტომბერი 1918 წ.

# შრომა

№ 47

გაზეთის ფასი 40 კაპ.

ორგანო საქართველოში მოქმედ სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტისა.

**გაზეთის ფასი:** ერთი თვით 9 მან. ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტით სტრიქონი 1 მან., მეოთხეზე 80 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი მისამართით უნდა გამოგზავნონ: *Тифлисъ, Контора Газ. „Шрома", Баронская ул.* № 16. სხვა მისამართით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადი მოლაპარაკება შეიძლება 10—11 საათამდე.

**რედაქციის მისამართი:** *Тифлисъ Редакція газ. „Шрома" Баронская ул.* № 16.

დასავლეთ ფრონტზე მოკავშირეთა შეტევა გრძელდება. ინგლისელებმა დამასკი აიღეს. სტამბოლში პანიკაა.

მიიღება ხელის მოწერა ყოველ-დღიურ გაზეთ

„შ რ ო მ ა"-ზე

გაზეთი ღირს ერთი თვით 9 მანეთი.

მისამართი: ტფილისი, ბარონის ქუჩა № 16 გაზეთ „შრომის" კანტორა.

ექიმი ი. კ. აზაკელია

შინაგანი ავადმყოფობა.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა.

ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ გვარი ჰლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4 1/2—6 საათამდე.

პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86

## ქ. თბილისი, 9 ოქტომბერი.

დასავლეთის ფრონტზე გერმანიის დამარცხება და ბულგარეთსა და გერმანიაში უკანასკნელი ამბებით შექმნილი სიტუაცია საერთო ყურადღებას იქცევს. კიდევ მეტი: ჩვენი დამოუკიდებლობის და თავისუფლების მტრები მეტად კმაყოფილი არიან ამ ამბებით. რა თქმა უნდა, ამათ ის კი არ ახერხებს, რომ მსოფლიო ომის და შინაური ცხოვრების ობიექტიური მსვლელობის აუცილებელმა ლოღიკამ გერმანიის მონარქიზმის მდგომარეობა შეარყია და შინაურსა და საგარეო პოლიტიკაში ის დათმობის გზაზე დააყენა.

გერმანიის დამარცხებისაგან, როგორც მისი შედეგი, ისინი მოელიან ჩვენი დამოუკიდებელ მდგომარეობის შერყევას და მთელი იმ პოლიტიკის გაკოტრებას, რომელმაც საქართველოს დემოკრატია დამოუკიდებლობამდი მიიყვანა. ისინი ასე ფიქრობენ: თქვენი მოკავშირე და ახალი მეგობარი მარცხდება, აწი რას იზამთო.

ასე აყენებენ საკითხს ისინი, ვინც ერების თავისუფლების და მათი თვითგამორკვევის უფლებას ყოველთვის ებრძოდა. მარა მათ ავიწყდებათ, რომ იმპერიალისტების დამარცხება არის დემოკრატიის გამარჯვება. ჩვენი ერთად ერთი საიმედო მოკავშირე არის და იქნება საერთაშორისო დემოკრატია, რომელიც თავის აქტიურ ძალების მობილიზაციას ახდენს და მსოფლიო იმპერიალიზმსა და კაპიტალიზმთან სამკვდრო სასიცოცხლო იერიშებისათვის ემზადება.

იმპერიალისტური გერმანიის დამარცხება ამ პროცესს ვერ შეაჩერებს. უკანასკნელი ამბები პირიქით უფრო აძლიერებს ჩვენს ოპტიმიზმს ჩვენი დამოუკიდებლობის განმტკიცების შესახებ, ვინაიდან გვწამს: პატარა ერების ხსნა მხოლოდ იმპერიალიზმის დამარცხებაშია...

## პ რ ე ს ა.

### ზავის გარშემო

„სახალხო საქმე"

გერმანიაში ახლად შემდგარი მთავრობის პირველი ნაბიჯი, უეჭველია, ზავისაკენ იქნება გადადგმული. თუმცა პირდაპირ გერმანიიდან არა, მაგრამ მოსკოვიდან მოსულ ცნობებით ცნობილი სოციალ-დემოკრატი შეიდემანი სტატს-სეკრეტრად დაუნიშნავთ უპორტფელოდ. პირველი საზრუნავი ახალი მთავრობისა, როგორც უკვე ვსთქვით, ზავი და საზავო პირობების შემუშავება იქნება. სხვა სახელმწიფოები ამას უეჭველად ანგარიშს გაუწევენ და შესაძლებელია წელს მაინც, მოეღოს ბოლო, იმ ცეცხლის ტრიალს, რისაგანაც ასე შეწუხებულია. მთელი კაცობრიობა.

თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ზავს საქართველოსათვის, ამაზე ბევრი ლაპარაკი, გვგონია, საჭირო არაა. ჩვენი ქვეყანა ფორმალურად ნეიტრალურია, მაგრამ ფაქტიურად მოქცეულია ომის რკალში.

ამიტომ ზავის ჩამოგდება ერთნაირად კალაპოტს მისცემს ჩვენს ცხოვრებას. რაც უნდა იყოს, ჩვენს გარშემო რომ დაწყობილ დაწყნარებული სახელმწიფოები გაჩნდება—უდიდესი სიკეთე იქნება ჩვენთვის. როცა მეზობლის სახლი იწვის, უეჭველია, ძალაუნებური შიში გაქვს შენს სახლ-კარსაც არ მოედვას ეს სტიქიონი. ზავის ჩამოგდების შემდეგ კი ჩვენი ცხოვრება, გარდა იმისა, რომ ეკონომიური კრიზისი შემსუბუქდება—ახალ ნიადაგს ჰპოებს. გამოირკვევა აგრეთვე საბოლოოდ ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობაც. ამიტომ ვლაპარაკობთ და ამიტომ ვსწერთ ამდენს ზავის თაობაზე და ამიტომვე ველით მას გულის ფანცქალით.

* *

„საქართველოს რესპუბლიკა"

უდიდეს ისტორიულ ამბების წინაშე ვდგევართ. საერთაშორისო ომი გრძელდება. მაგრამ საერთაშორისო ზავი მოახლოვებულია.

და აი აქეთკენ უნდა მიექცეს და მიიმართოს ყველას ძალ-ღონე და ყურადღება, ვისაც კი უყვარს კულტურა, თავისუფლება, ერი და კაცობრიობა.

აქეთკენ უნდა ვიდოდეს პირველყოვლისა ყველა ქვეყნის და ყველა ხალხის დემოკრატია. დაუყონებლივი ზავი—აი ლოზუნგი!

გერმანიის დემოკრატიამ უკვე სთქვა თავისი სიტყვა, თავისი საზავო სიტყვა, რომელიც ქვეყანას მოუხმობს, რომ ყველა ხალხის საკეთილდღეოთ ომს სამუდამოთ მოეღოს ბოლო და უზრუნველყოფილი იქნეს ხანგრძლივი და მტკიცე პოლიტიკური და ეკონომიური თავისუფლება.

გერმანიის მთავრობა თანახმაა საზავო მდგომარეობა ჩამოაგდოს ვილსონის პროგრამის მიხედვით. შემუშავდა სათანადო ნოტა საზავო მოლაპარაკების გასამართავათ.

შემდეგ გაზეთი აცხადებს, რომ არ ენდობა ინგლისის იმპერიალისტებს, თითქოს გერმანიის იმპერიალისტები უფრო სანდო იყვნენ და დაასკვნის:

ისტორია პასუხს ელის. კაცობრიობა გმინავს. ერნი სისხლისაგან იცლებიან. ხსნა საერთაშორისო ზავის დამყარებაშია.

* * *

გაზეთი „ერთობა" ეხება იმ საფრთხეს, რომელსაც უქადის ჩვენს დამოუკიდებლობას გენ. ალექსეევის ლაშქარი და სწერს:

„გენერალ ალექსეევს საკმარისი ძალა მოუგროვებია ყუბანის ოლქში და იგი ყუბანის ოლქის მთავრობის დაუკითხავათ, მასთან შეუთანხმებლად მეტათ რეაქციონურ და დამოუკიდებელ სახელმწიფოების დაპყრობას აპირებს. ყველა ძველ შავრაზმელებს მის არმიაში მოუყრიათ თავი. ძველი რეაქციონური სულისკვეთებით აღჭურვილნი და ძველი წყობილების აღდგენას ცდილობენ

ძველი წყობილების აღდგენის მთავარი მიზანია რუსეთის ძველი ტერიტორიებით აღდგენა. ძველი ტერიტორიებით აღდგენა კი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებულობის უარყოფა და უკანასკნელის განადგურებაა.

რასაკვირველია გენერალ ალექსეევის ასეთი მიზანი დიდ უტოპიათ და მოუხერხებელ საქმეთ მიგვაჩნია. ძველი რუსეთის გაერთიანება, მის ტერიტორიაზე ძველი წყობილების აღდგენა ისეთივე ძნელ საქმეთ მიგვაჩნია, როგორც მკვდრის გაცოცხლება.

რუსეთში ამ ჟამად და ახლო მომავალში არ არის ისეთი ძალა, რომელმაც შესძლოს მრავალი დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოების განადგურება. დემოკრატიულ რუსეთის მოსპობა და მის ნანგრევებზე მონარქიზმის აღდგენა.

გარდა ამისა ამ საკითხს საერთაშორისო ურთიერთობის ხასიათი აქვს და აქ გარეშე სახელმწიფოების ძლევა მოსილების შემუსვრაა საჭირო. მაგრამ გენერალ ალექსეევის კონტრ რევოლიუციონურ არმიას არც ერთისა და არც მეორის საწინააღმდეგო ძალა არ შესწევს და მისი მოქმედება სრულიად უნიადაგოა.

ერთი სიტყვით ალექსეევს მონარქიული მიზანი დაუსახავს და ბიუროკრატიული იმპერიალიზმის განხორციელებას ლამობს.

ჩვენ გენერალ ალექსეევის განზრახვა დიდ საფრთხეთ არ მიგვაჩნია და ის ამას ვერასოდეს სისრულეში ვერ მოიყვანს. მხოლოდ საშიშია ჩვენთვის ჩვენი დამოუკიდებელ დემოკრატიული რესპუბლიკის—საქართველოსთვის ის, ვინაიდან იგი ჩვენი საზღვრების მახლობლათ მოქმედებს და, როგორც სანდო ცნობებიდან ირკვევა თვალიც ჩვენსკენ უჭირავს. მით უმეტეს, რომ მას ჯერჯერობით ჩრდილოეთისაკენ, ბოლშევიკების წინააღმდეგ წასვლა არ შეუძლია. პირიქით თვით ბოლშევიკებს მიაქვს მასზე იერიშები და ალექსეევის მოხალისეთა არმიებს ემუქრებიან.

ასეთ პირობებში ალექსეევი პირს ჩვენსკენ იბრუნებს და, როგორც რეაქციონერი ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკისაკენ გამოეშურება.

გენერალ ალექსეევის ჯარი ჩვენი რესპუბლიკის უახლოესი საფრთხეა და და ჩვენ თავისუფალ ხალხს და მის დემოკრატიას მოვალეობა აწევს ამ მოვლენას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს.

## დ ე პ ე შ ე ბ ი

გერმანულ პრესის ცნობა 6 ოქტომბრიდან: ოქტომბერს 2 ბერლინში შედგა სამეფო საბჭო გერმანიის იმპერატორის თავმჯდომარეობით, რომელშიდაც მონაწილეობას იღებდა ყოფილი კანცლერი გრაფი ჰერტლინგი, ფელდმარშალი ფონ-გინდენბურგი, პრინცი მაკს ბადენელი, ვიცე-კანცლერი ფონ-პაიერი, ვიცე-პრეზიდენტი მინისტრთა საბჭოსი, რამოდენიმე სტატს-სეკრეტარი და ხელმწიფის სამოქალაქო კაბინეტის უფროსი. ბადენის საჰერცოგო ტახტის მემკვიდრის პრინც მაკსის მოლაპარაკებას პარტიათა ლიდერებთან მოჰყვა შედეგათ პრინცის თანხმობა კანცლერის თამდებობის მიღებაზე. სახელმწიფო სამინისტრო იქნება შედგენილი მხოლოდ უმთავრეს პარტიებისაგან. პრინც მაკსმა წარმოადგინა პროგრამა, რომელიც „ფოსიშე ცაიტუნგის" სიტყვით რამოდენიმე საკითხში კიდეც აღემატება უმთავრეს პარტიათა მოთხოვნილებების მინიმუმს. მოლაპარაკება დასრულდა სრული შეთანხმებით; პრესა მიესალმება ამ ცვლილებას, როგორც საშუალებას შინაური კრიზისის გათავებისას და გერმანიის პოლიტიკური ცხოვრების ახალი განვითარების დასაწყისს.

ყოფილი თანაშემწე სამეფო ბეჭდითი ბიუროს სტატს-სეკრეტარისა, რეიხსტაგის წევრი ლიუდვიგ გასი „ბერლინერ-ტაგებლატში" უძღვნის წერილს პრინცს მაკსს, რომელმაც მიიღო კანცლერის თანამდებობა და მით გასწყვიტა კავშირი ძველ წესებთან. ავტორი ამბობს, რომ პრინცი არ არის შესაფერისი პირი კანცლერის თანამდებობაზე, თუ მთავრობა იქნა დემოკრატიული. „ჩვენ არა გვსურს წამოვაყენოთ წინ პარტიული პროგრამა და გავიყვანოთ იგი. ეხლა პარტიულ პროგრამაზე მეტი საქმე უნდა გაკეთდეს: უნდა შევქმნათ ახალი გერმანია და შევარიგოთ კაცობრიობა. სხვადასხვა პარტიისა და მსოფლ-მხედველობის ხალხი უნდა შეკავშირდეს ამ მუშაობისათვის. ამისთვის იქნებ სასარგებლო იქნეს, რომ კანცლერათ არ იყოს პარტიული კაცი. ქვევით ავტორი იგონებს, როცა მაკსი წინააღუდგა ადამიანობის და კაცობრიობისადმი სიმძულვარეს და არ კარგავდა რწმენას საზოგადო საკაცობრიო მიზნისადმი. ხალხთა შეთანხმების იდეა მისთვის ტაქტიკური მანევრა კი არ არის, არამედ ერთგული საქმე.

ახალს კანცლერს არა მარტო ეხლა, არამედ იმ დროს, როცა გერმანიისთვის არსებით საჭიროებას შეადგენდა გამარჯვება, შეეძლო ეთქვა ცხადათა და გარკვევით საზოგადო საზავო პოლიტიკაზე ის არ საჭიროებს, რომ „ჭკვიანი სიტყვებით" დაფაროს გულგაუხსნელობა; მას შეუძლია მტკიცედ დაიცვას საზოგადო საკაცობრიო და ჰუმანიური ინტერესები. ამ იდეის ურწმუნო არასოდეს არ ყოფილა ის. მისი საზავო სურვილი იპოვის თანაგრძნობას მტრების იმ წრეში, სადაც კიდევ არსებობს კეთილგონიერება და შეგნების ნიჭი. მისი სიტყვები ჯერ კიდევ ადრევე ნახულობდენ გამოძახილს. მაგრამ მიუხედავათ იმისა, ჩვენ არა გვწამს ზავი".

ინგლისის რადიო დეპეშებიავრცელებს ცნობას, რომ გერმანელი გენ. ლიმან-ფონ-სანდერსი ნაზარეთიდან გაიქცა და ვითომ დაჭერილ იქნა. ამის შესახებ გენერალი ლიმანი თვით იტყობინება, რომ ინგლისის კავალერიის ბრიგადა 2 ენკენისთვეს 5 საათსა და 30 წუთზე დილით შემოიჭრა ნაზარეთში, რომ წაეყვანა ტყვეთ გერმანელი გენერალი შტაბით. ნაზარეთში იმყოფებოდენ ფოშტის კანტორის სეკრეტარიატი ნაწილი პოლკისა, რიცხვით 120 კაცი. ხუთი საათის გაცხარებული ბრძოლის შემდეგ მტერმა გაიმარჯვა. ამ ბრძოლაში იღებდა მონაწილეობას თვით გენ. ლიმანი. ინგლისელების განმეორებითი იერიშების შემდეგ, როცა სიწყნარე ჩამოვარდა, გენ. ლიმანი გავიდა ნაზარეთიდან.

ისპანიის საზღვრების დაკეტვის მეოხებით საფრანგეთში დადის ალმაშფოთებელი ხმები, ვითომც აზიიდან შემოტანილია უცნოელებისაგან ჭირი, რომელმა ამსხვერპლა მრავალი. აქამდის საფრანგეთის მთავრობა გაჩუმებულია ამის შესახებ.

გერმანულ პრესის ცნობა 6 ოქტომბრიდან. შვედური პრესა ეგებება ახალ წყობილებას გერმანიაში მოწონებით. „დაგენს-ნაიხეტერი" სწერს, რომ პრინცი მაკსი დიდი ხნიდან ცნობილია, როგორც ლიბერალი. „სოციალ-დემოკრატი" ამბობს, რომ სადაც კი პრინც მაკსი პოლიტიკურ ცხოვრების ასპარეზზე გამოჩნდებოდა, ყოველთვის ის იყო წინააღმდეგი ძველი შეხედულებისა. შვეიცარიის პრესაც აგრეთვე მსჯელობს დემოკრატიულ სისტემაზე გერმანიაში. „ბერლინერ-ტაგებლატი" სხვათა შორის სწერს: ვისაც არ სურს, რომ გერმანია დაეცეს და ვინც იმ აზრისაა, რომ თანამედროვე სახელმწიფოს მართველობაში ხალხის ხმა უნდა ისმოდეს, მას შეუძლია მხოლოდ მიესალმოს ახალ წყობილებას გერმანიაში.

რუმინელი პრესა მსჯელობს ბულგარეთის მდგომარეობაზე. წერილში „მალინოვის საქმეს"-ს სათაურით მთავრობის გაზეთი ბუქარესტში სწერს: „ომით დაღალვა არ ამართლებს მალინოვისაგან გადადგმულ ნაბიჯს. სიჩქარე, რომელითაც გერმანელებისა და ავსტრიელების ჯარი შევიდა სოფიაში, არის დამამტკიცებელი საბუთი მისა, რომ ვენისა და ბერლინის პოლიტიკურ წრეებში დიდი ხანია მომწიფდა იჭვი. ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ გენ. სავოვი და შეკანი ბულგარეთის ლაშქრის ღენერლები, იყვნენ შერიგების წინადადების წინააღმდეგ და განაცხადეს, რომ იბრძოლებენ ცენტრალურ სახელმწიფოებთან. ბულგარეთს მოუხდება მოიგონოს თქმულება, რომ ცუდია ორ სკამს შუა ჯდომა. ბულგარელებმა იციან ეხლა, რომ მათი ქვეყანა უნდათ გაიხადონ სომარ ასპა-

რეზათ. ჩვენი საქმე არ არის მათი პოლიტიკის გამართლება თუ განსჯა. ისინი დაწვებიან იმ ლოგინზე, რომელსაც თვით დაიგებენ“, სხვა გაზეთები სწერენ, რომ ბულგარეთის ამბებს არავითარი დიდი შედეგები არ მოყვება.

**ბერლინი, 7 ოქტომბერი.** სალამოს სამხედრო ცნობა. სკარპის ჩრდილოეთით ადგილობრივი ხასიათის ბრძოლაა. სენ-კანტენის ჩრდილოეთით და არგონებსა და მაასს შუა მტერი სალამოს აწარმოებდა იერიშებს. შამპანში სიწყნარეა.

**ვენა. 7 ოქტომბერი.** სამხედრო ცნობა. იტალიის ფრონტი. მდგომარეობა უცვლელია.

ბალკანეთის ფრონტი. ალბანიაში სკუმბასთან განახლდა ბრძოლა. ძველ სერბიის სამხრეთ მოსაზღვრე ოლქებში არავითარი არსებითი საომარი მოქმედება.

**ტრანს-ოკეანის პრეს-ბიუროს ცნობა, 6 ოქტომბერი.** პრესა სიხარულით ეგებება ახალ კანცლერს, როგორც ხალხის ნდობით აღჭურვილ მთავრობის მეთაურს. ,,ნორდდოიჩე—ალგემაინე—ცეიტუნგ“-ი სწერს: ,,რა მნიშვნელობისაც არ უნდა იყოს პარლამენტის წევრების მთავრობაში მონაწილეობა, ხალხმა და პარტიებმა არ უნდა დაივიწყოს, რომ პარტიებს არ შეუძლიათ შეჩერდენ იმაზე, რაც გაკეთებულია, არამედ უნდა ახსოვდეთ ის, რომ ყველაფერი ეს მხოლოდ გზაა უმაღლეს მიზნისაკენ. ამ გადამწყვეტ ჟამს ხალხმა უნდა მოიკრიბოს ყველა ფიზიკური და გონებრივი ძალები. ხალხის კოლექტიურმა ვნებამ და ნიჭმა უნდა მიაღწიონ განვითარების უმაღლეს წერტილს, რომ წინაღუდგეს მტრის სურვილს, რომელიც მიმართული იქნება ჩვენ დასამხობათ. ამ მხრივ ხალხმა თავის ბედი საკუთარ ხელში აიღო. ძალა და სიდიადე, რომელსაც ის დაამტკიცებს მისთვის ახალ მიზნის მისაღწევათ, გვაჩვენებენ იქნება თუ არ- დღევანდელი დღე ჩვენი უკეთესი მომავლის მომასწავებელი“.

დანიის გაზ. ,,ალჰემინ“-ი სწერს: ,,ძნელ პარლამენტარულ კითხვების მოწესრიგება ახალ კანცლერისათვის იქნება მის საპასუხისმგებლო დანიშნულების აღსრულება, მაგრამ, პირველ ყოვლისა, მასში უნდა ვხედავდეთ ღრმა მორალურ შეხედულების და უკეთეს მსოფლმხედველობის ადამიანს, ამ სიტყვის საუკეთესო ლიბერალურ მნიშვნელობით“.

,,ნიუ-კურანტ“-ი სწერს: ,,უკანასკნელი ცნობები გერმანიის პოლიტიკურ კრიზისის შესახებ იმტკიცებენ, რომ მოკავშირეთა ყვითელი პრესის განმარტებანი გერმანიის ვითომდა რევოლიუციის ყოველ ფაზის შესახებ, რომელთაც ისინი სთვლიდენ მხოლოდ პირმოთნეობათ, მხოლოდ აბსურდია და მეტი არაფერი. თავისთავად ცხადია, რომ ეს მიზანი ვერ გადაწყდებოდა ერთი ხელის მოსმით. ხალხის გავლენა იზრდება, ეს ფაქტი იმპერატორმა აღნიშნა კიდევაც გრაფ პერტლინგისადმი თავის გამოსალმების წერილში, ხოლო ახალი კანცლერის სახით არის იმის გარანტია. რომ პოლიტიკურ ასპარესზე მოპოებული ტერიტორია გამაგრებული იქნება ძლიერი ხელით“. პრინცი მაკს ბადენელი სრულებით თანამედროვე ადამიანია, რომელიც საბედნიეროთ, მიჩვეულია მეცნიერების და ხელოვნების წარმომადგენლებთან საქმის დაჭერას. მის მიერ გერმანიაში წარმოთქმული სიტყვები ამტკიცებენ, რომ მას სწორად ესმის მომენტის მოთხოვნილებანი, ამიტომ სრულებით სამართლიანია, რომ ხვდა ასეთი პქსუხსაგები პოსტი. გერმანიის ამბების განვითარება მოწმობს, თუ როგორ სცდებიან ისინი, ვინც ამ კრიზისს სამასხაროთ იგდებენ. ვინაიდან ის ძალები, რომელთაც შეეძლოთ ასეთ კომედიის მოწყობა სავსებით დამარცხებული არიან და მაშინაც კი თუ ომის ბედი ისევ შეიცვალა, შინაური პოლიტიკური განვითარების გათვალისწინება შეუძლებელი იქნება. პრინცი მაკს ბადენელი ის პიროვნებაა, რომელსაც შეუძლია განახორციელოს უმაღლესი თანხმობა გერმანიის პოლიტიკისა და ამაზე ის ააშენებს პოლიტიკურ წარმატებას.

**ბერლინი.** 7 ოქტ. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. ფლანდრიაში და კამბრესთან დღემ მშვიდობიანათ ჩაიარა.

ბოინის ლაშქარი. სენ-კანტენის ჩრდილოეთით სასტიკი ბრძოლა გრძელდება, რომელიც განუწყვეტლივ სწარმოებს შუა ენკენისთვიდან. მიუხედავათ ახალ-ახალ ძალებისა, რომელიც მტერს ამ ადგილას მოყავდა, მოწინააღმდეგემ მაინც მიზანს ვერ მიაღწია. აგრეთვე გუშინ მტრის იერიშები, რომელიც სწარმოებდა შუა დღემდი კატელეს ჩრდილ. და ლესეჟის ორივე მხრით დამარცხდა მტერი, რომელმაც სომის არხთან პირველად მოიგო პატარა ტერიტორია ესინის რაიონში, ჩვენი კონტრ-იერიშებით უკან დახეულ იქნა რეუკურამდი.

გერმანიის კრონ-პრინცის ლაშქარი. მტერი წამოვიდა ჩვენი ახალი ხაზების წინააღმდეგ მდ. ენისა და სიუპთან პონტავერსა და ბავანკურს შუა და მოიტანა რამოდენიმე იერიში. ბრძოლა ვითარდება პანტავერთან, ბერი-აბაკთან რეიმს ნეფშატელის გზატკეცილის ორივე მხრით და ბაზანკურტთან. მტერი ყველგან უკუქცეულია. რამდენიმე ნაწილებზე პატარა რაზმები მაგრდებიან სიუპის ჩრდილოეთ ნაპირზე. მოწინააღმდეგემ დიდი ძალებით იერიში მოიტანა არნაზე და სენ-ეტენის დასავლეთით. აქაც მათი იერიშები უშედეგო იყო. შამპანში ათი დღის გაცხარებული ბრძოლების შემდეგ გუშინ ბრძოლა შესწყდა. ფრონტის დანარჩენ ბევრ ადგილას მზვერავთა შეტევა სწარმოებს.

**ტრანსოკეანეს პრეს-ბიუროს ცნობა. 6 ოქტომბერი.**

გარეშე საქმეთა სამინისტროს სტატს-სეკრეტარი ფონ-გინტცე გადადგა, მის ადგილზე დაინიშნა ახალშენთა მინისტრი დ-რი სოლფი, უწინდელ თანამდებობაში დატოვებით.

**ფრანგებოს ცნობა.**

ფრანგთა ჯარები წარმატებას ანვითარებენ. გინდენბურგის ხაზი გადალახულია.

ფლანდრიაში ინგლისელები და ფრანგები ენერგიულათ უტევენ; მათ ხელთ იგდეს რამდენიმე ათასი სამხედრო ტყვე. არგონებში ამერიკელები ჯიქურ უტევენ, გერმანელები იხევენ.

სერბიაში ინგლისელები ნიშს მიუახლოვდენ. ოსმალეთის ფრონტზე ინგლისელებმა აიღეს დამასკი, მთელი სირია ინგლისელების ხელშია.

სტამბოლში პანიკაა. ოსმალებმა შეგვატყობინეს ჩვენ, რომ ისინი თანახმა არიან გვწმინდონ კავკასია.

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

— **დიდი** ჩხრეკა 7 ოქტომბერს 3 საათიდან ავლაბრში ციციშვილის აღმართიდან დაწყებული მთელი უბანში დიდი ჩხრეკა სწარმოებდა. სჩხრეკდენ როგორც ბინების, ისე გამვლელ. ჩხრეკის მიზანი იყო იარაღის ართმევა. ჩხრეკას საგანგებო რაზმი და მილიცია აწარმოებდა.

— **მთავრობის** თავმჯდომარემ ნ—ნ. ჟორდანიამ ამიერ კავკასიის ბანკის მოსამსახურეთა გაფიცვის მიზეზების და პირობების გაცნობის შემდეგ სთხოვა შრომის მინისტრს დაწესებულებათა მოსამსახურების კავშირს, რათა მათ საშუალება მისცენ მთავრობას კონფლიქტი მშვიდობიანი გზით მოსპოს.

— **კონფლიქტი** ბორჯომის სახაზინო მამულის ადმინისტრაციისა და მუშებს შორის დამთავრდა. 7 სექტემბერს ხელი მოაწერეს ხელშეკრულობას. ენკენისთვის ჯამაგირის საკითხი გადაეცა ცენტრალურ მომრიგებელ კამერას.

— **ცენტრალურ მომრიგებელ** კამერაში მთავრობის მესამე წარმომადგენლათ დაინიშნა ცენტრალურ საადგილმამულო გამგეობის წევრი ქარცივაძე.

— **თბილ. სახალხო გვარდიის პროტესტი.** თბილ. სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს შემდეგი შინაარსის ქაღალდი გაუგზავნა: სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა რაიონულ შტაბების წარმომადგენლებთან ერთად 1 ამა ოქტომბერს გამოარკვია რა საკითხი ყოფილ თავად ბაგრატიონ მუხრანსკის და სხვა კონტრ-რეოლიუციონური გამოსვლები—დაადგინა: 1) იცნას წინააღმდეგ ასეთი ელემენტებისა მთავრობისგან მიღებული ზომები.

2) მოთხოვოს, მთავრობას გადასცენ ისინი სასამართლოში და 3) გამოუცხადოს მთავრობას, რომ ის (მთავრობა) გვარდიაში ნახავს ყველაზე ენერგიულ დამცველს და მებრძოლს წინააღმდეგ კონტრ-რევოლიუციონერებისა და ბნელი ძალებისა.

თავმჯდომარეს. ამხ. დ. საგირაშვილი

მდივანი: რ. აუშტროვი.

— **სომხეთის ეროვნულ საბჭოს** ლტოლვილთა განყოფილებამ დიადგინა: მისცეს ლტოლვილებს ყოველთვიურათ 18, 600 მანეთი.

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲡᲘᲖᲠᲐᲜᲨᲘ.

„იზვესტიას“ ატყობინებენ, რომ სიზრანში შესდგა დროებითი მთავრობა, რომელშიდაც შევიდენ ავქსენტიევი, ვოლსკი, რაგოვსკი, ჩიაკოვსკი და გენ. ბოლდირევი. 3 წევრი ეკუთვნის სოც.-რევ., ერთი რუსეთის აღდგენის ლიგას, 1—სახალხო სოციალისტი.

**რევიზია სიღნაღის მაზრაში.**

სიღნაღის მაზრის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციების შუამდგომლობით შინაგან საქმეთა მინისტრმა დანიშნა რევიზია სიღნაღის მაზრის ადმინისტრატიულ დაწესებულებათა. რევიზორებათ დანიშნულია საგუბერნიო სამმართველოს მრჩეველი აბულოვი და ბუღალტერი ამავე სამართველოსი ყორღანოვი.

**ბ ა ქ ო შ ი.**

ინფორმაციული ბიურო ადერბეიჯანის რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან ატყობინებს ასეთსავე ბიუროს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან, რომ ეხლა ბაქოში სრული სიწყნარეა და ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. რკინის გზით მიმოსვლა აღდგენილია, მაგრამ ჯერ ისევ მხოლოდ სამხედრო მატარებლები დადიან. ნებართვა ქალაქში შესვლისა მიიცემა მაშინვე, როცა გაიხსნება სამგზავრო მატარებელთა მიმოსვლა, რაც ახლო მომავალში იქნება. ზანგეზურისა და შუშინსკის მაზრების ნაწილების გარდა, რომელთა შესახებაც ბიუროში ცნობები არ არის, მთელ დანარჩენ ადერბეიჯანში მეფობს სრული მშვიდობიანობა.

და თუ თავს იჩენს უწესოება, მაშინ ადერბეიჯანის ჯარი სრულიად საკმაოა, რომ მოსპოს ყოველივე ექსცესები.

# ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

— **გუშინ** [illegible] საათზე სადგურ ძირულაში, ლიანდაგზე გადარბენის დროს ქვეშ მოჰყვა [illegible] 13 წლის ქალი ლეღვის გამყიდველი. და მოგლიჯა მარჯვენა ფეხი მუხლთან და მარჯვენა ხელის 4 თითი. შემაძრწუნებელს სურათს წარმოადგენდა გასისხლიანებული ფეხ მოწყვეტილი საცოდავი ბავშვი. ეს ქალი შეიქნა ულარიბეს იმ სოფლის მცხოვრებ რცხილაძისა. ბავშვი და დედა წამოიყვანეს ქუთაისში ქალაქის საავამტყოფოში; მაგრამ გადარჩენის იმედი ცოტაა. შემთხვევით მატარებლით მოდიოდა ჰომის სკოლის მასწავლებელი მიხეილ ბახტაძე, რომელმაც ებრაელ წითლიშვილის თანხლებით ჩამოიარა მატარებელი და შეუგროვა უბედურ დედას 250 მანეთამდი.

— **ქალაქის რელსების მოპარვა.** ტელეფონის სადგურის გამგემ ჟორჟოლიანმა აღმოაჩინა ქალაქის საკუთრება რელსები რომელიც სისტემატიურათ იკარგებოდა. უნახეს გოცირიძეს, რომლისთვისაც ქალაქის ტეხნიკს არეშიძეს მიუყიდნია. არეშიძე გამოტყდა.

— პარასკევს, 4 წიფობისთვეს სალამოს ხუთ საათზე სოც-ფედერალისტთა კლუბის დარბაზში დანიშნულია დას. საქ. სახალხო მასწავლებელთა კავშირის მთავარი გამგეობის კრება. ვსთხოვთ ძველი და ახალი გამგეობის წევრებს უსათუოდ დაესწრონ.

— ვანის (ქუთ. მ.) გიმნაზიაში მეცადინეობა. დაიწყო 2 ამ თვეს (ოქტომბერს)

— გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ეკატერინე გრიგორის ასულმა ჩაკვაიძისამ დაკარგა ნომ. საზ. „კოოპერაციის“ წევრო წიგნაკი. მპოვნელს ვთხოვთ შემოიტანოს გაზეთ „ხალხის მეგობარის“ რედაქციაში.

— თხოვნა ფინანსთა მინისტრრთა დასავლეთ საქართველოს ხაზინებში მოსამსახურეთა ცენტრალურ კავშირის გამგეობა სთხოვს თფილისის უმაღლეს მთავრობას მოახდინოს განკარგულება ქუთაისის სახაზინო პალატის მმართველისადმი დანიშნოს პირები ხაზინებში იმ თანამდებობებზე, რომელიც არის თავისუფალი თითქმის თვეზე მეტი, არა ქართველ ტომის მოხელეების განთავისუფლების გამო და მით მისცეთ საშვალება დანარჩენ მოსამსახურეებს შეასრულონ სამსახურში თავიანთი პირადი მოვალეობანი და ზედმეტ შრომისაგან გაანთავისუფლოთ.

— **ყვირილიდან** გუბერ. კომის. ატყობინებენ რომ 25 სექ. ღამის 12 ს. ადგილ. მცხოვ. სპირიდონ და მიხეილ ტაბიძეებს თავს დაეცა სამი უცნობი შეიარ. და წაართვეს საცვლები, ფული და ტანისამოსი. მიღებულია ზომები.

# ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲭᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ

(იხილე „შრომა“ № 46 დასასრული)

რომ დამთავრებულად ჩაითვალოს საქონლის ჭირის წინააღმდეგ საშუალებების აღნუსხვა, საჭიროდ ვრაცხთ აქვე მოვიყვანოთ ზოგიერთი კონკრეტიული და პრაქტიკული რჩევა, რომელიც უკვე აღნიშნულ უმთავრეს საშუალებების დამხმარე საშუალებას ან, უკეთ რომ ვსთქვათ, დასკვნას შეადგენს;

1) საჭიროა აიკრძალოს მოგზაურობა, მისვლა-მოსვლა საქონლით ჭირიან სოფელზე;

2) საჭიროა აიკრძალოს ყიდვა-გასყიდვა საქონლისა ჭირიან სოფელში და თუ ამ ჭირიან სოფლის სარაიონოში არის ბაზრები, ამ უკანასკნელებზედაც;

3) საჭიროა აიკრძალოს ჭირიან სოფლიდან გატანა სხვა საღ სოფელში: თივისა, ბზისა, ფუჩეჩისა და სხვა ამ სენის გადამტან საგნებისა.

4) საჭიროა მოკლული ან აცრის შემდეგ დახოცილი საქონელი მაშინვე იმარხებოდეს ღრმათ ამოთხრილ (ორნახევარ არშინზე) სამარეში.

5) ის ადგილი, სადაც ავადმყოფები იდგნენ ან ინახებოდენ, საჭიროა კარგათ გაიწმინდოს დამდუღრით მოირწყას და თუ შეძლება აქვს პატრონს კირითაც მოჰფინოს იგი (ყოველივე ეს სახელმწიფო ხარჯზე უნდა ხდებოდეს):

6) საჭიროა აიკრძალოს ჭირიან სოფელში დაკვლა საქონლისა ექიმის ნებადაურთველად და მის გაუსინჯველად.

7) რომ მოგზაურობა შეიწყვიტოს ჭირიან სოფელზე‘ საჭიროა შემოღებულ იქნას ორ სისტემიანი კარანტინი, ესე იგი ჭირიან სოფელში გზებს დარაჯობენ სახელმწიფო ხარჯზე დაქირავებული ყარაულები, მხოლოდ საღ მეზობელ სოფლებიდან კი—ამავე საზოგადოების მიერ ამორჩეული და დაქირავებული ყარაულები: ვინაიდან საღ სოფლის მცხოვრებლები მეტად არიან დაინტერესებულნი თავის დაცვაში, ვიდრე უბედურებით მოცულნი ჭირიან სოფლის მცხოვრებნი.

თავის მოტყუება იქნებოდა იმის თქმა, რომ ცხოვრებაში აცრის მოწინააღმდეგე მიმართულება არ სუფევდეს; ამიტომ საჭიროა ამ მიმართულების გაცნობა და გათვალისწინება.

მოწინააღმდეგების აზრით აცრის უარყოფითი მხარეებს შეადგენენ: 1, გაბერწება ძროხებისა (ხბოების გამოგდება) 2, წველის კლება და 3, აცრილი ხბოების გაჟლეტა. ერთის შეხედვით ეს იმისთანა უარყოფითი მხარეებია აცრისა, რომ არამც თუ გლეხკაცს, რომლის ავლა-დიდებას და წლითი-წლობის საზრდოს სითეთრე შეადგენს (რძე, მაწონი, ყველი, ერბო და სხვა), შეაშინებს, არამედ ყოველ მოქალაქესაც ტანში ჟრუანტელს მოჰგვრის. ეს ასეა პირველ შეხედვით, მაგრამ სულ სხვაა მოწინააღმდეგების მოსაზრებების არსებითი მხარე, რომლის მეცნიერული საზომით დაფასება არარად ჰყოფს აღნიშნულ მოტივებს და ჭირის წინააღმდეგ ერთად ერთს საშუალებად აღიარებს „შეერთებულ აცრას“ საქონლისას. ერთი უპირველესი მოთხოვნილება მიუდგომელი მსჯელობისა ამა თუ იმ კითხვაზე არის—მთლიანი მისი გაშუქება, თუნდაც ეს გაშუქება შემცდარი ხასიათისა იყოს.

ვეტერინალურ პრაქტიკის მიერ ცნობილია, რომ ნორმალური ვადა ჭირის გათავებისა ამა თუ იმ სოფელში განისაზღვრება 45 დღით, დღიდან აცრის დაწყებისა. მთელი ეს ვადა განიყოფება 4 პერიოდად ანუ ხანად. 1, ხანა „ინკუბაციისა“ (დაფარული მსვლელობა ავადმყოფობისა) გრძელდება 1—10 დღემდე; 2, ხანა რეაქციისა (როცა სიცხეს მისცემს და გამოყრის იარებს პირში) გრძელდება 10—21 დღემდე; 3, ხანა გამოკეთებისა 20—30 დღემდე და 15 დღეც ჭირიან სოფლის უკანასკნელ გაწმენდისათვის ანუ დასრულებითი გამოკეთება ყველა ავადმყოფ საქონლისა.

იბადება კითხვა—რომელ აღნიშნულ ხანაზე მოდის ის მასიური გაბერწება ძროხებისა, რომელზედაც მიგვითითებენ აცრის მოწინააღმდეგენი? ამ კითხვაზე დადებითი პასუხი საჭიროა არამც თუ მეცნიერების თვალთაზრისით, არამედ პრაქტიკულის მხრითაც; მაგრამ მოწინააღმდეგენი მასზე გადაჭრილ პასუხს არ იძლევიან და აქ იმარხება მათი მოტივების სუსტი მხარე. 1903 წლიდან დღემდის ამ სტრიქონების დამწერი მუშაობს საქონლის ჭირის მოსპობის ასპარეზზე „აცრის“ საშუალებით და არც ერთხელ არ მინახავს მასიური გაბერწება ძროხებისა პირველ სამ ხანაში აღნიშნულ ვადისა. მართალია, თვითეული ძროხის გაბერწების მოვლენას აქვს ადგილი მეოთხე ხანაში, სწორეთ იმ დროს, როდესაც კარანტინი იხსნება სოფელში და ეს უკანასკნელი საყოველთაოდ გამოცხადებულია თავისუფლად ჭირის მხრივ.

ამ მხრივ ჩემი დაკვირვება მტკიცდება კიდევ იმ ფაქტით, რომ „შეერთებული აცრა“ საქონლისა ცნობილია ყველა განათლებულ ქვეყნებში ერთად ერთ რადიკალურ საშუალებათ საქონლის ჭირის წინააღმდეგ. თუ დაუშვებთ, რომ საქონლის აცრას, დღიდან მისი დაწყებისა კარანტინის მოხსნამდე, თან ახლავს მასიური გაბერწება ძროხებისა (მასიური გაბერწება გულისხმობს ნახევარზე მეტს მთელი აცრილი საქონლის რიცხვიდან, დაახლოვებით 75 პროც.) მაშინ ის ქვეყნები, სადაც საქონლის აცრა სწარმოებს სისტემატიურად ათ ათი წლებით და მეტიც, უნდა დარჩენილიყვნენ უსაქონლოდ, ვინაიდან თუ ხბო არ იშობა, მსხვილი საქონელი საიდან გაჩნდებოდა აცრა, როგორც მეცნიურ ნიადაგზე დაყენებული საშუალება, აქამდის უნდა მიეტოვებინით, მაგრამ არც პირველს, არც მეორეს ჩვენ არ ვხედავთ; პირიქით—ავსტრალია, კანადა, თურქესტანი, შვიდი—მდინარე (семиречіе) და მონგოლია იცავდენ და იცავენ საქონელს ჭირისაგან მარტოდ მარტო შეერთებული აცრით, რომელსაც ხმარობდენ მუდამ, როცა კი ჭირი გაჩნდებოდა—ზამთარში. ზაფხულში, შემოდგომაზედ და გაზაფხულზე. ღირსშესანიშნავი და დამახასიათებელია ის მოვლენა, რომ სწავლულნი, როდესაც აღნუსხავენ ყველა სასტიკ ავადმყოფობას, რომლის პათოლოგო—ანატომიური სურათი წარმოადგენს ჭირის სურათს, აჰისთანა ავადმყოფების რიცხვში სრულებით არ იხსენიებენ „მასიურ“ ძროხების გაბარწებას (повальный выгадненъ), რომელიც, იმავე სწავლულების აზრით, განცალკევებულ ინფექციურ ავადმყოფობას წარმოადგენს და არავითარი დამოკიდებულება არა აქვს არც ჭირთან და არც აცრასთან. საზოგადოთ, ვფიქრობთ, აღძრულ კითხვის დადებითად ახსნის და განმარტების შემდეგ, მეორე საბუთი აცრის მოწინააღმდეგეთა—ესე იგი „წველის დაკლება“ გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან აცრისაგან ვითომდა გამოწვეულ ძროხის გაბარწებას უკავშირებენ რძის დაკლებასაც; რომ ეს კითხვაც ბევრად თუ ცოტათ გავაშუქოთ, საჭიროა მაზედაც შევჩერდეთ. ყველა მამაკვდავმა კარგათ უწყის, რომ რძის ფაბრიკას შეადგენს „ცური“ და არა „საშვილოსნო“, მაშასადამე ტოპოგრაფიული ანატომიის და ფიზიოლოგიის დაურღვეველი წესით და ამა თუ იმ სხეულის ნაწილის მოქმედების თვისებით (функціональное свойство) არ შეიძლება კატეგორიული კავშირი არსებობდეს ძროხის გაბერწყებასა და წველის დაკლების, შორის, წინააღმდეგ შემთხვევაში, ლოღიკის კანონით, ჩვენ უნდა დაუშვათ, რომ ყოველივე „წველის შეწყვეტა“-ს, რასაც მუდამ ვხედავთ ,,მასიურ ფილტვების ანთებასთან“ (повальное воспаленіе легкихъ рог. скота) და სიჭლექის ახალ პროცესის დროს, თან მოსდევს ხბოს გამოგდება; მაგრამ ასეთი მოვლენა ცხოვრებაში არ ხდება. შემდეგ,—თუ დაუშვეთ, რომ ,,შეერთებული აცრა“ იმისთანა ანატომიურ და გისტოლოგიურ ცვლილებას ახდენს საშვილოსნოში, რომ მას უეჭველად ძროხის გაბერწება მოსდევს, მაშინ უნდა დაუშვათ ისიც, რომ იგივე აცრა ისეთსავე ცვლილებას უნდა ახდენდეს ,,ცურზედაც“, რის შედეგიც ცურის ,,ატროფია“, მისი გამაგრება შემდეგის იარეებით და ნაწილ ნაწილი ლპობა უნდა მოჰყვეს, მაგრამ ასე არ ხდება ცხოვრებაში აცრის დროს.

აღნიშნული განმარტების გარდა, ყველამ კარგათ იცის, რომ ძროხა, რომელმაც კარგათ მოიმშობიერა და ხბოთი იწველის, რძეს მაინც არ მოგცემთ, თუ ხბო მოაშორეთ. ეს ფაქტი საგულისხმოა და იგი გვიმტკიცებს იმას, რომ რძის საკმაო მოცემა ან დაკლება სულ სხვა მიზეზებზეა დამოკიდებული და არა აცრაზე.

მაშ რა მიზეზია. რომ ძროხები, ჭირს რომ იხდიან აცრის შემდეგ, ცოტათი მაინც კლებულობენ წველას? ამის მიზეზები უნდა ვეძიოთ რაციონალურად შენახვის და საზდოების უცოდინარობაში, რაც უეჭველია, ხელს უწყობს საქონლის უმეტეს ჯანდაგობას და ჯანდაგი საქონელი კი, რასაკვირველია, ბევრს არ მოიწველის. ცხოველების მოშენების და სარგებლობის მეცნიერება მოითხოვს, რომ ცხოველების ინტენსიური ექსპლოატაცია ყოველ დარგში, პარალელურად უნდა მიდიოდეს ინტენსიურ საზდოებასთან და შესაფერ შენახვასთან, საზოგადო თერაპიის და ჰუმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

**შრომის ბირჟა.** შრომის ბირჟაში ...დის ჩაეწერა 775 კაცი.
**ქუთაისის ხაგუბერნიო** ციხეში ამ ...მოთავსებულია 546 ტუსაღი.
**რაჭა.** გუბერნიის კომისარს ონიდან ...ის კომისარი ვიტაშვილი ატყობი... რომ მობილიზაციის საქმე ქვემო...ში კარგათ ჩატარდა, მხოლოდ ზე...რაჭაში კი ძლიერ ცოტა გამოცხადდა. ...ათ გამოუცხადებლობისას ასახე...ნ მას, რომ მათ ეშინიათ ოსების ...ასხმისა.
**...ლეჩხუმის მაზრის** კომისრათ დაი...ს დვალი.

# დ ო ნ ზ ე.

**„ჯარის დიდ წრე“.**

...ამათ ნოვოჩერკასკში სხდომა აქვს ...რის დიდ წრეს“ (большой войсковой кругъ), რომელიც იმუშავებს „დო...ყოვლად დიდი ჯარის კონსტიტუ...ს ძირითად კანონებს.

...თ ერთ თავის უკანასკნელ სხდომაზე ...ე უნდობლობა გამოუცხადა ჯარის ...ანს გენ. კრასნოვს და მის მთავ...ბას.

...რასნოვი და მისი მთავრობა გადადგა ...მას წრე შეხვდა „სამარისებური სი...თ“.

...ის წესრიგში იყო დასმული ახალი ...მანის არჩევის საკითხი, მაგრამ ეს ...ითხი მოსახსნელი გახდა, რადგან საქ...ჩაერია გერმანელთა ჯარის უფრო...

...ნ მოსთხოვა წრეს, რომ უკანასკნელ ...გადაშინჯოს თავისი დადგენილება ...კრასნოვის შესახებ.

...ანიშნულ იქნა დახურული სხდომა ...ი წრის“. სხდომამ მღელვარე და ...ე ხასიათი მიიღო, მაგრამ ბოლოს ...ც გადაწყდა დამორჩილებოდენ გერ...ლთა მოთხოვნას და ამ რიგათ გენ. ...ნოვი ისევ დაუბრუნდა თავის თანამ...ობას.

...ჟორმისათვის“ მოახდინეს ახალი არ...ები, რომელზედაც გენ. კრასნოვმა ...ლო“ ხმების უმეტესობა.

...ტერეს მოკლებული არაა ის სიტყვა, ...ელიც წარმოსთქვა „დონის ყოვლად ...ი ჯარის“ „ახლად არჩეულმა“ ატა...ა.

...ტყვის დასაწყისში მიუთითა იმაზე, ...„ჯარის დიდმა წრემ“, რომელიც, ...ბატონ-პატრონი პალარა და მშვი...დონის, დააკმაყოფილა მისი თხოვნა ...ნება დართო მას გადამდგარიყო და ...ევ ხაზი გაუსვა „დონისათვის შექმ... მძიმე პირობებს“ და განაცხადა, ...ასეთ მძიმე ჟამს ყოველი მხედარი ...ყველად უნდა იდგეს თავის ...ზეო.

...ეო,—სთქვა გენ. კრასნოვმა,—უნდა ...ენო მაგალითი „დონის ყოვლად დი... ჯარის“ იმ შვილებს, რომელნიც იცა...დონს ბალშევიკთა ბანდებისაგან. და ...მე ცუდი ატამანი ვიქნებოდი, რომ თქვე...ნის ნებით დაკავებული პოსტიდან გავ...ქცეულიყავი“.

წრემ გენერალს ტაში დაუკრა, მაგრამ გენ- კრასნოვმა და ჯარის წრემაც კარგათ იციდენ, თუ რა ფასი ქონდა ამ ტაშის ცემას.

ეს ყველამ იცის, მაგრამ იძულებული არიან გაჩუმდენ და „შეურიგდენ მდგომარეობას“.

# ყ უ ბ ა ნ ზ ე.

**ყუბანში მომხდარ ამბების გამო.**

(უკანასკნელი ცნობებიდან).

სამოქალაქო ომისაგან ყუბანში ყველაზე უფრო დაზარალდა მაიკოპის რაიონის, რომელიც რამოდენიჯერმე გადადიოდა ხან ერთი, ხან მეორე მეომარი მხარის ხელში.

როგორც ეს ყოველთვის ხდება ომის დროს, უკან დამხევ ნაწილს გააქვს რაც კი შეიძლება, ხოლო რისი ევაკუაცია შეუძლებელია, მას ანადგურებენ და ცეცხლს აძლევენ, რომ მოწინაალმდეგეთ არ დარჩეს.

ესევე ხდებოდა მაიკოპის რაიონში, სადაც ნავთის წარმოებაა.

ეს წარმოება უკანასკნელ ბრძოლებში მონაწილეთა და თვითმხილველთა გადმოცემით ყოვლად უნუგეშო სურათს წარმოადგენს. ის თითქმის უდაბნოთ არის ქცეული.

ამ დროს კი ჩრდილო კავკასიაში ნავთის პროდუქტების ნაკლებობა საგრძნობია და ყუბანის მხრის მთავრობა შეუდგა ზრუნვას წარმოების განახლებაზე, მას შემდეგ რაც მოხალისეთა ჯარმა მაიკოპის რაიონი აიღო. მაგრამ ამ საქმეში ყუბანის მთავრობას მოულოდნელად მოხალისეთა ჯარმა ხელი შეუშალა.

საქმე იმაშია, რომ პარტიზანები, წაართმევენ თუ არა ბალშევიკებს ტერიტორიას, მაშინვე შეუდგებიან ხოლმე მკვიდრთა გასამართლებას. გასამართლება ხდება სწრაფად, მაგრამ უსამართლოდ. ამას ემატება ის გარემოება, რომ უპასუხის მგებლო პირები სარგებლობენ ამით და უდანაშაულო მსხვერპლთა რიცხვი იზრდება.

ღამ-ღამობით ათეულ და ასეულ მოქალაქეთა დახვრეტა განურჩევლად სქესისა და ხშირათ წლოვანებისა, ჩვეულებრივი მოვლენაა ყუბანში. იმის შესახებ, რომ მათრახი „ამუშავებულია“, ლაპარაკი ზედმეტია; საკმარისია მივუთითოთ იმ გარემოებაზე, რომ ეკატერინოდარში ჯარის „ურა ნაწილები“ ხშირად ტრაბახობენ ხოლმე: „მადლობა ღმერთს, სტანიცებში ერთი დედაკაციც არ მოიპოვება, რომ ჩვენი მთავრობის გემო არ იცოდესო“.

მაიკოპის საწარმოო რაიონიც ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს, რასაკირველია და აქ მომუშავენი, რომელნიც უმთავრესად სოფლიდან ჩამოსული ხალხისაგან შესდგებიან, უმოწყალოდ იქნენ დახჯილნი და სასტიკად დევნილნი.

იგივე ბედი ხვდათ მოსამსახურეთ და სხვადასხვა სპეციალისტებს, რომელთაც წარმოებასთან კავშირი ქონდათ. ამ ძალმომრეობამ და მის თანმდევ ცარცვა გლეჯამ აიძულა ადგილობრივი სავაჭროსამრეწველო წრეები მიემართათ ეკატერინოდარში მთავრობისათვის, ხოლო ადგილობრივ პროტესტი განეცხადებინათ მოხალისეთა არმიის შტაბისათვის იმ ძალადობათა წინაამდეგ, რომელთაც იქ ადგილი ქონდათ.

ამ მიზნით ეკატერინოდარს საგანგებოთ ჩამოსული დელეგაცია ეახლი მთავრობის თავმჯდომარეს ლ. ბიჩს და დაწვრილებითი მოხსენება გაუკეთა მას.

ამასთან ერთად ეკატერინოდარში მოწვეულ იქნა თათბირი სხვა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენელთაგან, რომ გამოეცხადებინათ პროტესტი ჯარის ზოგიერთი ნაწილების მიერ ჩადენილ უმსგავსოებათა წინაალმდეგ და გამოენახათ საშვალებანი, რათა უზრუნველყოფილ იქნას პიროვნების ხელ შეუხლებლობა და ქონების მთლიანობა.

მაიკოპში მომხდარმა ამბებმა ამნაირათ წინ წამოაყენეს საკითხი იმ რეპრესიების შესახებ, რომელიც თან მოიტანა მოხალისეთა ჯარმა.

მაგრამ იმედების დამყარება იმაზე, რომ რეპრესიებს მოეღება ბოლო, არ შეიძლება.

მართალია, დროებით შეიძლება რეჟიმი რამოდენიმეთ მაინც უფრო რბილი იქნეს, მაგრამ მის სისასტიკეს კიდევ დიდხანს გრძნობდეს იქნება ხალხი, განსაკუთრებით სოფელი.

## ძველი დროის ქარხნები—მაშინდელი მაზანდა და XVIII საუკ. თბილისის ამბები.

ლილის ქარხანა, ანუ ლილახანა, ლილახანები იყო ბევრი, ლილის ქარხანა კი ერთი, ლილა იყო კარქი და ლურჯი, აკეთებდენ ბალახებიდამ, მაშინ გირვანქა ლილა ღირდა 12 კაპ.

რუსების შემოსვლის შემდეგ ეს ლილის ქარხანაც მოისპო, რადგანაც რუსებმაც იწყეს რუსეთიდამ დიდძალის შემოტანა. დღეს ლილა გირვანქა 15 მანეთია.

**შაქრის ქარხანა.** ეს სიტყვა საბა ორბელიანის სიტყვით ინდიური სიტყვა არს. მეთვრამეტე საუკუნის 20 წლებს კალკუტა და მადრიდიდამ საქართველოში მოვიდნენ ინდიელი ხელოსნები და თბილისში შაქრის ქარხანა გახსნეს. ჯერეთ ამისთვის ბორჩალოს მაზრაში მათ შაქრის ლერწამი გააჩინეს და მერე შაქრის ქარხანა.

ქართველებს მეჩვიდმეტე საუკუნეშიაც სცოდნიათ, ყინვარი შაქრის გამოყვანაც მაშინ დაუწყვიათ. ამ ქარხანამ 1795 წ. იარსება, 1797 წ. მეფე ერეკლეს დავალებით განახლდა, შაქარი ცოტა გამოჰყვანდათ, ხოლო საქართველოს ხალხს იგი მაინც ჰყოფნიდა.

ამ ქარხანამ რუსების მოსვლის შემდეგაც იარსება. თითო თავი იყო 6 გირვანქა, შაქარს ფერი ჰქონდა ყითელი, იყო ძლიერ დუნე და ერთობ ტკბილი. სახელათ ეწოდებოდა „ქართული შაქარი“.

რუსებს ეს შაქარი არ მოსწონდათ. რუსეთიდან შემოიტანეს რუსული შაქარი. მაშინ ექვსი გირვანქა შაქარი ერთ მანეთად იყიდებოდა.

რუსულმა შაქარმა აჯობა და განსდევნა ქართული შაქარი, ქართული ქარხანა დაიკეტა, მერე რუსული შაქარი ისე გაძვირდა, რომ 1830 წ. რუსული შაქარი გირვანქა 2 მ. იყიდებოდა.

1840 წ. იაკობ ხუბლაშვილმა და მისმა ამხანაგებმა კვალად გახსნეს ვერაზედ შაქრის ქარხანა და იწყეს შაქრის გამოყვანა ძველებურად. ამ ქარხანამ ცოტახანს იარსება, ესეც ძველებურათ დუნე შაქარი იყო და ტკბილი. ამ შაქარსაც ქართული შაქარი ეწოდებოდა. ამ შაქარს რუსულ შაქარმა აჯობა და ამიტომ იგიც მოისპო. ამ ქართველი შაქრის მეწვრიმლის დუქნებში კაცი ნახავდა. 1870 წლებამდის გასაყიდათ იგი ბევრი იყო. რადგანაც დუნე შაქარი იყო, მას ცოტანი ხმარობდენ, რუსული შაქარი მაგარი იყო და ამიტომ აჯობა ამან. მაშინ ქართული შაქარი 15 კაპ. იყო, დღეს კი 20 მ. გირვანქა.

**ძაფის ქარხანა ანუ „ყაზაზები“.** თბილისში ამათი რიცხვი დიდი იყო. ყაზაზების რიცხვი, ანუ ქარხნები იყო ბევრი. მათ გამოჰყვანდათ აბრეშუმის ძაფი თეთრი, შავი, წითელი და სხვადასხვა ფერებიც. მაშინ აბრეშუმის ძაფი გირვანქა 5 მ. იყო. ყაზაზების რიცხვი თბილისში დავარდა, რადგანაც რუსეთიდან იწყეს ძაფის შემოტანა. დღეს თითო კოჭის ძაფი ღირს 18 მან. კოჭის ძაფს ექნება 4 მისხალი.

**„ქაღალდის ქარხანა“.** ეს სიტყვა ქართული არ არის. იგი წარმოშდგარია არაბულის სიტყვა „ქაღაზიდამ“. ქაღალდის კეთებაც ქართველთ ისწავლეს ინდიელებისაგან. თბილისში არსებობდა ერთი ქარხანა. ამ ქარხნის ქაღალდი მთელს საქართველოს ჰყოფნიდა. ქაღალდის ფერი იყო ყვითელი და ლურჯი.

1798 წ. მეფე გიორგის დავალებით რუსეთიდამ იწყეს ქაღალდის შემოტანა, ამიტომ 1800 წ. ეს ქარხანაც მოისპო. დღეს ქართული ქაღალდის ხსენებარ აღარ არის საქართველოში.

**სანთლის ქარხანა.** ქონის სანთლის ქარხანა 1790 წ. თბილისში იყო თექვსმეტი. ერთი ქარხანა იყო სამეფო, დანარჩენი კერძო ბირების. ამ თექვსმეტ „ქარხანის“ გარდა სანთელი გამოჰყვანდათ სხვადასხვა ვაჭრებს და ნამეტურ მრეწველებს. ამათ გარდა, ბევრს დიდს ოჯახშიაც გამოჰყვანდათ, რადგანაც ქონი მაშინ ბევრი იყო თბილისში. სამეფოს სანთლის ქარხანა არსებობდა თბილისის პირველი ხიდის გვერდით, ვგონებთ რიყეზედ. სანთელი მაშინ იყო, იფათ, თითო სანთელი ღირდა ერთი ფული, ანუ ჩვენებურ კაპეიკათ.

სანთლის ქარხნებმა რუსების შემოსვლის შემდეგაც კარგა ხანს არსებობდენ, რადგანაც რუსებიც ხმარობდენ ამ სანთელს.

1830 წლებში მოსკოვიდან იწყეს რუსული კართოფილის სანთლის შემოტანა, მერე ეს სანთელი მიეცა გავრცელებას, ამან შეამცირა ჩვენებური სანთლის ქარხნები.

1870 წლის შემდეგ რა კი ნავთი შემოვიდა ხმარებაში, მას მერე სანთლის ქარხანაც სულ მოისპო. დღეს სანთლის ქარხანა კი არ არსებობს და მისი კეთება და ჩამოსხმა კი ქართველებმა ბევრს ადგილას იციან კიდევ.

**წებოს ქარხანა.** 1890 წ. თბილისში იყო ორი ქარხანა წებოსი. წებო იყო კარგი თვისების, მაშინ და შემდეგაც ამ წებოს ქარხანა კარგა ხანს დარჩა საქართველოში. ქართულ წებოს რუსებიც კარგა ხანს ხმარობდენ, მერე კი ანუ 1840 წ. რუსეთიდან იწყეს წებოს შემოტანა, ამიტომ ქართული წებოს ქარხანა მოისპო 1830 წლებამდის ქართული წებო გირვანქა იყიდებოდა 5 კაპ.

**წმ. სანთლის ქარხანა** თბილისში იყო ორი, ერთი კათალიკოზის—ქართველეელებისა და ერთიც სომხების. სანთელს ხდიდენ ყვითელი ფერისას, ფასი იყო მაშინ ერთობ მცირე, წყვილი სანთელი ღირდა ერთი ფული, ანუ ორი სანთელი ერთი კაპეიკი, ანუ ორი გროში. რუსების შემოსვლის დროს, ამ სანთლის ქარხნის საქმე კარგათ წავიდა, რუსის ჯარის კაცებისაგან მუშტარი მოემატა დიდათ, რადგანაც სანთელი იაფი იყო და ამიტომაც საქართველოში ახლად შემოსული ჯარის კაცებიც მრავლათ ყიდულობდენ და სანთელს ანთებდენ.

**ზარაფხანა,** ანუ ფულის საჭრელი ქარხანა: არსებობდა მეფეების დროდან, და ერეკლე მეფემ უფრო გაავრცელა იგი და დააწინაურა. ზარაფხანის ხელოსნები და მუშები ერთი ათათ მიუმატა.

ზარაფხანის მუშები და ოსტატები პირველათ, ანუ ზარაფხანი განახლების დროს 1760 წ., სულ ბერძნები იყვნენ, მერე ქართველებმაც ისწავლეს და ბევრი გაჩნდენ.

ზ. ჭ.

(შემდეგი იქნება).

# საზოგადოების საყურადღებოთ.

ჩვენ მიერ ბორჯომიდან გამოგზავნილ დეპეშას სასურსათო კომიტეტის შესახებ, როგორც გადმომცეს და მეც პირადათ დავრწმუნდი დიდიმითქმა მოთქმა გამოუწვევია,—საზოგადოებაში და თურმე ზოგიერთი იმასაც კი გაიძახის, რომ საბუთები არაფერი აქვსო მან ტყვილა აალაპარაკა საზოგადოებაო; ამისითვის მოვალეთ ვრიცხთ ჩემს თავს საზოგადოების ცნობის მოყვარეობა რამდენათ შემეძლება ჯერ-ჯერობით შემდეგით დავაკმაყოფილო: ნურავინ იფიქრებს რომ დათიკო ქებაძე ისე გამოსულელდეს, რომ უსაბუთოდ ვინმეს ბრალი დასდოს და პრესაში ცრუ ხმების გავრცელებისთვის ორი წლით ციხეში ამოყოს თავი.

მე მინდოდა პრესაში ყოველივე გამომეშკარავებია, მაგრამ ვინაიდან. ამ საქმეშ უკვე ოფიციალური მსვლელობა მიიღო და მას აწარმოებს ქუთაის ოლქის სასამართლოს ბრალდებელი, და ვინაიდან ოლქის ბრალდებელმა არ მომცა პირი ჩემი ჩვენებისა, რადგან გამოძიება უნდა მოხდეს და საქმეს ავნებსო, თან კანონითაც აკრძალულიაო, ამისათვის ვაცნობებ როგორც საზოგადოებას, აგრეთვე ალექსანდრე ჯაფარიძეს და ბეგლარ ფალავას, რომ პერსანალურად არავის ბრალს არა ვსდებ. მე ვებრძვი მთელი შემადგენლობას საგუბ. სასურ. კომიტეტისას. და ჩვენ ხელში ...აც საბუთები მე მიმაჩნია უტყუარ საბუთებათ და დარწმუნებულიცა ვარ მალე ყველაფერს ფარდა აეხდება სამსჯავროში. და თუ ვერ დავამტკიცებ ჩემს სიტყვებს, უეჭველია მე მომელის, კიდევ ვიმეორებ, ციხეში ჯდომა და დარწმუნდეს ყველა თუ ეს მოხდა არავის პატიებას არა ვსთხოვ.

„ხალხის მეგობარი“
დათიკო ქებაძე.

# წ ე ს ე ბ ი

**ელექტრონის ძალით სარგებლობისა და მისი განაწილებისა ქ. თბილისში.**

ელექტრონულ ენერგიის მიწოდება საძნელო გახდა. არსებულ პირობების წყალობით ელექტრონული სადგურები თანდათან ფუჭდებიან, ხოლო საჭირო ნაწილების და სხვა მასალების უქონლობა აფერხებს მათი შეკეთების საქმეს.

სათბობი მასალა (ნავთი, მაზუთი) მცირედი ღა არის ქალაქში. ამიტომ ელექტრონულ სადგურების მიერ გაღებული ენერგიის რაოდენობა თანდათან მცირდება. ნავთის და სანთლის უქონლობა ბაზარზე თვალსაჩინოთ აბრკოლებს იმ პირთა რიცხვს, რომელთაც სურთ ისარგებლონ ელექტრონის ენერგიით.

საჭიროა, რომ ელექტრონის შუქი მიეცეს იმას, რომელიც სრულიათ არის ამ უკანასკნელს მოკლებული, ყველა ელექტრონის სადგურებს განათების ძალის გაღება შეუმცირდეთ.

უბნების ტეხნიკურ კომისიებს ქუჩების განათება გადააქვთ ტრამვაის ელექტრონის სადგურზე, რითაც ქუჩების განათება უზრუნველ-ყოფილ იქნება. ელექტრონულ სატგურების დატვირთვის შესამცირებლათ ქალაქის გამგეობამ თანახმად თავის დადგენილებისა და ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილებისა, მიიღო შემდეგი წესები:

მოქალაქეს თავის ბინაზე შეუძლიან იქონიოს თვითეულ ოთახში არა უმეტესი ერთის 25—32 სანთლის ძალის ლამფა. მოქალაქენი მოვალენი არიან თავიანთ ბინებში მეტი ლამფები თვითონვე გააუქმონ და მოხსნან.

ელექტრონის სადგურის პატრონთ ევალებათ თავიანთ აბონენტებს თვალყური ადევნონ, რომ მათ გამორიცხონ მეტი წერტილები და შეასრულონ ეს წესდება.

კინემატოგრაფებს რიგ-რიგათ შეუძლიათ მართონ სეანსები სალამოს 9—11 საათამდის ორ დღეში ერთხელ.

ამ წესდების დაარღვევნი მიცემულ იქნებიან პასუხის გებაში სასჯელთა კანონის 29 მუხლის ძალით.

რომ ობონენტებს მძლავრი ელექტრონის შუქის ძალა არ მოაკლდეთ და ენერგიის უსარგებლოთ დაკარგვის თავიდან ასაცილებლად სპეციალური კომისიები ახდენენ რაიონების გადანაწილებას ელექტრონულ სადგურთა შორის, მგოლოდ ის სადგურები, რომლებიც თხოულობენ შეკეთებას, შეჩერებულ იქნებიან და მისი აბონენტები გადაირიცხებიან სხვა სადგურზე.

ელექტრონულ შუქის გაყვანის მსურველნი განაწილდებიან ხამ კატეგორიათ:

1) სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებანი.

2) ის პირნი, რომლებთაც შუქის გაუქმებაში ცხოვრების სახსარი ესპობათ და აგრეთვე ის პირნი, რომლების ოჯახში არიან ხრონიკულ მძიმე ავადმყოფნი.

3) ის მოქალაქენი, რომლებიც ამ ჟამად ელექტრონის შუქს არიან მოკლებულნი.

ელექტრონის სადგურების პატრონნი, თუ ტეხნიკური დამაბრკოლებელი მიზეზები ხელს არ შეუშლის, მოვალენი არიან ქალაქის საბჭოს 22 აგვისტოს 1918 წ. გადაწყვეტილობის ძალით, ზემო-აღნიშნულ რიგზე აბონენტები შეიერთონ და მასთანვე ახალი აბონენტების მიერ სიები კვირაში ერთხელ ქალაქის გამგეობას წარუდგინონ.

თბილისის ქალაქის გამგეობა.

# მოლაპარაკება.

**საქართველოსა და ყუბანს შორის.**

(სტენოგრაფიული ანგარიში)

მოლაპარაკებას დაესწრენ: 1) გენერალი ალექსეევი, 2) დენიკინი, 3) შულგინი, 4) სტეფანოვი, 5) გენ. რომანოვსკი, 6) ფენერალი დრაგომიროვი, 7) ლუკოვსკი, 8) გეგეჭკორი, 9) გენ. მაზნიაშვილი, 10) ბიჩი (ყუბ. წარმომადგენელი), 11) ვორობიოვი, 12 № №.

**გენ. ალექსეევი:** მოხალისე ჯარის და ყუბანის მთავრობის სახელით მივესალმები ჩვენი მეგობარ საქართველოს წარმო-

...ის დებულებანი კი დამყარებულნი ...ნ მხოლოდ და მხოლოდ ავადმყოფ ...ნელის რაციონალურ საზდოებაზე ...მენახვაზე.

...რილი საქონელი ხუთ დღემდე, ...დან მისი აცრისა, არაფერს იჩენს; ...ნში საქონელი უნდა ინახებოდეს ... როგორც ინახებოდა აცრამდე; მე...—მეექვსე დღეს იწყება ავადმყო...ის აშკარა გამოჩენა (თვითეული ... მესამე დღეს ან კიდევ მეთოთხმეტე ... იჩენს:) მიეცემა სიცხე 40 გრადუ...ე და მაღლაც, გამოაყრის ბაგის ძი...ტუჩზე და პირში ქინძისთავის ოდე...რებს, დაუწყებს სისხლით ფალა...ბას, ბალანი აებურძგნება, თრთის ...ნკალებს და ჭამას ჰკვეთს. თუ სა...ლი ჭამას არა აკვეთს, მას ნირი არ ...შეუშალოთ, მხოლოდ, როცა ჭა...რულებით აჰკვეთამს, მაშინ ხელის ...ობაა საჭირო პატრონის მიერ ...ასხვა ბალახის, ანდა ვაზის მწვერ...ყლორტების (მოუწამვლავი კი) მი...სახით; ამასთანავე ძრიელ კარგია ...შული ვაშლის ან პანტის ჭმევა. ...უშლის მომეტებულად პირის ია... ამიტომ საჭიროა დილით და სა... ნელთბილი წყლით პირის გამო... თუ საქონელი სრულებით აღარასარა სჭამს, მაშინ უნდა ასვათ „გა...ღებული“ (ცხელს წყალში გახსნილ ...ის ფქვილს ქუთაისის გუბერნიაში ... „გადადუღებულს“, რუების ...тушка“-ს მზგავსი). თუ ცხოველი ... მას ეყოფა 6—10 ბოთლამდე ...; საშუალოს—4—6-მდე; ხბოს ...მდე დღეში; ამასთანავე განუწყვეტ...ნ უნდა ედვას აგრეთვე ბალახი ...ლი. ცივს და წვიმიან ამინდის ... გარეთ არ უნდა გამოუშვათ, მზი...ეს კი გარეთ ყოფნა მოუხდება. ...ოა აგრეთვე ავათმყოფის სუფთად ...—ჩირქიანი თვალების, ნესტოების ...ან ტანის ნელთბილი წყლით ბანვა.

ავადმყოფის გამოკეთების ხანაში დიდი ყურადღება არის საჭირო, რომ უვარგისი საჭმელით მუცელი არ გაებეროს (тимпанинъ); ამ დროს უფრო კარგია თუ საქონელი საძოვარზე იმყოფება. როდესაც პატრონი საქონლიდგან ითხოვს დიდს სარგებლობას, მაშინ იგი უნდა გადავიდეს მის სხვა ჭამა—საზდოებაზე, ესრედ წოდებულ „კონცენტრიულ“ საზდოებაზე (концентрированная корма), რომლის დაწვრილებითი განმარტება დღეს ჩვენს საგანს არ შეადგენს.

დაგვრჩა ვსთქვათ რამოდენიმე, სიტყვა აცრის მოწინააღმდეგეების მესამე მოსაზრებაზე—ესე იგი ხბოების აცრისაგან გაჟლეტაზე; გაჟლეტა რომ უსაფუძლო იყოს, ხბოების აცრის შემდეგ დიდი ავადმყოფობა და გაჭირვებით გადატანა კი საფუძვლიანათ უნდა ჩაითვალოს. ყველაზე მეტი აცრილი საქონლიდგან ხბოები იხოცებიან. ამ ბოროტების წინააღმდეგ ჩვენ გვაქვს კარგი საშუალება, ეს არის დოზების გადიდება ხბოებისთვის ორჯელ და, თუ საჭიროება მოითხოვს სამჯერ მეტად, მხოლოდ სისხლის მიცემის დაკლება. ამნაირ აცრით ხბოების სიკვდილის რიცხვი ძრიელ მცირდება, ვინაიდგან მათ აცრას ვუახლოვებ კარგი კულტურული ჯიშის საქონლის აცრას, რომელსაც ძრიელ სასურველი შედეგები მოაქვს.

ამრიგად—საქონლის ჭირის წინააღმდეგ ვეტერინალურმა მეცნიერებამ მოგვცა მიზან შეწონილი და რადიკალური საშუალება, ეს არის „შეერთებული აცრა“ და ეხლა მთავრობაზე და ერობაზე არის დამოკიდებული ამ საშუალების ფართო მასშტაბით მოხმარება და სარგებლობა ხალხის სკეთილდღეოთ.

ვეტერინალური ექიმი გრ. მამამთავრიშვილი.

მადგენლებს ევ. პ. გეგეჭკორს და გენ. მაზნიაშვილს. მე ვფიქრობ, რომ ჩვენი ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ მოლაპარაკება დამთავრდება ნაყოფიერად და სასურველად, რადგანაც ჩვენ შორის არ არის ისეთი რამ, რომელიც დავას გამოიწვევს. თავდაპირველად მე საჭიროდ ვსთვლი განვაცხადო, რომ მოხალისეთა ჯარს არა აქვს არავითარი მისწრაფება და სურვილი საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ და მას სცნობს სავსებით. დეე იცოდეს საქართველომ, რომ ის ამ მხრით სავსებით უზრუნველყოფილია.

მაგრამ, რადგანაც მოხალისეთა ჯარი იღებს ასეთს მოვალეობას თავის თავზე, ის უნდა ელოდეს საქართველოსაგან ასეთივე დამოკიდებულებას. ამავე დროს მე აშკარად უნდა ვსთქვა, რომ საქართველოში რუსებს მტრულად შეხვდენ, რასაც ჩვენ სულ არ მოველოდით, მაგრამ უმთავრესი ის არის, რომ რუსებს სდევნის არა მასსა, ხალხი, არამედ თვით მმართველი წრეები. შემდეგ მოლაპარაკების დროს ჩვენ არ შეგვიძლია ამ ფაქტს ანგარიში არ გაუწიოთ, როდესაც ჩვენ ვიცით, თუ რამდენ უსიამოვნებას განიცდის რუსი მცხოვრები კავკასიაში. წინეთ ხომ ჩვენ შევძელით ერთმანეთთან ცხოვრება და ჩვენს პოლკებში ქართველებიც მსახურებდენ. ასეთ თქვენს დებულებას ჩვენ ვერ შეურიგდებით.

თქვენი ორიენტაციის მიმართულება, შინაური თქვენი პოლიტიკის საქმეები ჩვენ არ გვეხება, ეს თქვენი შინაური საქმეა, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია დაუშვათ გერმანელების ბატონობა რუსეთის მიწა-წყალზე მოხალისეთა ჯარის და ყაზანის წინააღმდეგ. რატომ გერმანელები ამაგრებენ ადლერს? ეს ხომ ჩვენი შეურაცხყოფაა? საქართველოს ტერიტორიაზე დეე ქართველებმა რაც უნდათ ის აკეთებინონ, მის გარეშე კი არ უნდა იყოს არც ერთი გერმანელი. ამ საკითხთან ერთად იბადება მეორე საკითხი: რომელ საზღვრამდის შეიძლება მათი მოქმედება გავრცელდეს? ეს მეტის მეტად მწვავე და სერიოზული საკითხია, რომლის გადაჭრასთან დაკავშირებულია ყველაფერი ის, რის გადასაწყვეტად ჩვენ აქ შევიკრიბენით. და აი მე მივიღე დეპეშა ერთი თქვენი გენერლისაგან, რომელმაც თავისი მთავრობა დააყენა ტუაპსეში და უკვირს რათ იქნა ეს მთავრობა გადაყენებული. ახლა კი სოჭას და ადლერშიც ქართველების მთავრობაა. შეიძლება თუ არა ამ ოლქებზე ვილაპარაკოთ ისე, როგორც ქართულ ოლქებზე მაშინ, როცა საქართველოს და ჩვენ შორის მთელი ერთი ოლქია—აფხაზეთი. ეს ოლქები წმინდა რუსული ოლქებია და შედიან რუსეთის ტერიტორიაში რა არის მდინარე კუდესკა, რატომ არის უუფლებო ხელით წართმეული 25 ვერსის მანძილი ამ მდინარიდან, არა, ბატონებო, ასე არ შეიძლება! ის საზღვარი, რომელიც დამყარებულია 1905 წელში უნდა იქნას დაცული, მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება ჩვენ შევთანხმდეთ თქვენთან.

ახლა საქონლის გაცვლა-გამოცვლაზე იცოდეთ, რომ გერმანელებს ყველაფერი გააქვთ როგორც დონიდან, უკრაინიდან, ისე საქართველოდან. ამიტომ თუ ჩვენ ხელშეკრულება შევკარით და თუ მოგეცით თქვენ რაიმე საქონელი, ჩვენ უნდა გვქონდეს გარანტია იმისა, რომ გერმანელებს არ ვკვებავთ. რომ ჩვენ სიამოვნებით მივეგებებით საქართველოს, ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ თქვენ მოვლამდე, მე გავუხსენი გენერალ თაყაიშვილს 250,000 მანეთის კრედიტი პურის შესასყიდლათ და საქართველოში გასაგზავნად. სჩანს, ჩვენ წინეთაც გვქონია ტენდენცია საქართველოსათვის დახმარების გაწევისა. და თუ ჩვენ ასე მივდივართ თქვენს შესაგებებლათ, თქვენც ასევე უნდა მოიქცეთ. რას წარმოადგენდა კავკასია რუსეთისათვის? რუსებმა დახარჯეს კავკასიაში აუარებელი თანხა. იმავ დროს კი კავკასიაში ბევრი რუსეთის ქონება დაგროვდა, ყველაფერი ეს რუსის კაპეიკია. განა რკინის გზები, რომელიც გაყვანილია, განა თითეული ვერსი ჩვენი არ არის? და თუ ყველაფერი ის, რაც რუსეთის ცენტრიდან შემთხვევით დარჩა მოგროვილი იქ ყველაფერი უნდა გადავიდეს ქართველების, სომხების და თათრების ხელში მიუხედავათ იმისა, რომ ყველაფერი ეს მოტანილია ცენტრიდან და გროვდებოდა დიდი რუსეთის გლეხის ხელით, მაგრამ აი შეხედეთ იმ სურათს, რომელსაც წარმოადგენს ის ადგილები, სადაც საქართველოს ჯარმა გაიარა. რეკვიზიციას უშვრებიან ავტომობილებს, საწყობებს, ფურგონებს და სურსათს. სამხრეთი ნაწილი ახალ-სენაკიდან სოხუმამდე გამოცხადებულია საქართველოს სახელმწიფოს კუთვნილებათ. რა საფუძვლით თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ ზემო-ჩამოთვლილი ქონებით და თქვენი განკარგულების ქვეშ იქონიოთ, მაგრამ გახსოვდეთ, რომ ყველა ეს მილიონები გამოწვეულია რუსეთის ცენტრიდან. შემდეგ ფულათ წაღებულია სოჭაში 800,000 მ. და სოხუმში 230,000 მ. რასაკვირველია გზის მმართველობამ განაცხადა პროტესტი ამის შესახებ, მაგრამ ეს სად მიგვიყვანს?

გენერალ მასლოვსკის გადაეცა ჯავშნიანი მატარებელი, მაგრამ ის სავსებით გაფუჭებულია და ასეთი მოქცევა ბ. ქართველ აფიცრებისა სრულიად არ არის ლოიალური დამოკიდებულების მაჩვენებელი.

აღვნიშნე რა ეს ყველაფერი, მე კიდევ ვიტყვი ერთხელ, რომ მე ვარ მოხალისეთა ჯარის უფროსი, რაც შეეხება ყუბანის მთავრობას, ის თავის შესახებ თვითონ იტყვის. სასურსათო საკითხის შესახებ ჩვენ თქვენ დაგეხმარებით და ამ საქმის მოსაწესრიგებლად მთავარი საკითხის გადაჭრის შემდეგ უნდა დავაარსოთ განსაკუთრებული ორგანო, რომელიც საქონლის გაცვლა-გამოცვლას აწარმოებს. მაგრამ იცოდეთ, რომ მხოლოდ მაშინ გაუშვებთ, თუ გინდ ერთ ფუთ პურს, როცა გამოიცვლება რუს აფიცრებთან დამოკიდებულება საქართველოს მთავრობისა, ვინაიდან ყველაფერი ის, რასაც იქ ადგილი აქვს, და თვით იძულებითი გადასახლება რუსებისა ჩვენთვის დიდათ შეურაცხმყოფელი გარემოებაა. რაც შეეხება სასურსათო ორგანოს, მან უნდა აწარმოოს სასტიკი აწერა იმ საგნების, რაც საჭიროა საქართველოსათვის, რომ არაფერი არ ჩაუვარდეს ხელში გერმანელებს, რომლებმაც გამოსწოვეს ყველაფერი დონში, უკრაინაში და ახლა მზათ არიან სხვას მიყონ ხელი.

ახლა მე გთხოვთ დასვათ შემდეგი ცალკე კითხვები და ვსთხოვ ყუბანის მთავრობის წარმომადგენელს გამოსთქვას თავისი აზრი:

1) საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ თუ რა აზრის არის.

2) საქართველოს და ყუბანის საზღვრები.

3) საქონლის გაცვლა-გამოცვლა.

4) რუსებისადმი მოპყრობა ქართველებისა საქართველოში.

5) რეკვიზიცია წმინდა რუსული ქონებისა.

დანარჩენი კითხვები გამოჩნდება მსჯელობის პროცესში, ახლა კი ვფიქრობ, რომ ეს წესრიგი სრულია და ვსთხოვ გამოსთქვას თავიანთი აზრი ყუბანის მთავრობის წარმომადგენლებს.

**ბიჩი** (ყუბანის მთავრობის თავმჯდომარე). საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა ჩვენში არ იწვევს არავითარ იჭვებს და ჩვენ ვსცნობთ მას სავსებით, ვინაიდან ყოველთვის მთელი ისტორიის განმავლობაში ყუბანს საქართველოსთან ჰქონდა მეგობრული განწყობილება და ვფიქრობ, რომ ეს მეგობრობა შემდეგშიაც გაგრძელდება. რაც შეეხება საზღვრებს, სადაო არც აქ არის არაფერი. მთელი შავი ზღვის გუბერნია 1905 წ. იყო ყუბანის ნაწილი და ჩვენ არა გვაქვს არავითარი საფუძველი, რომ სხვანაირად შევხედოთ ამას დღეს. მე მგონია, რომ მთელი შავი ზღვის გუბერნია 1905 წ. გადაკეთების ძალით უნდა შევიდეს ყუბანის შემადგენლობაში.

**გენ. ალექსეევი.** პირველი საკითხის შესახებ ყველაფერი გავათავეთ. ჩვენ მოხალისეთა ჯარის წარმომადგენლებმა და ყუბანის მთავრობამ უკვე გამოვსთქვით თავიანთი აზრები.

**გეგეჭკორი.** მე, როგორც საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელს არ შემიძლია, პატივცემულო გენერალო, თქვენს სიტყვას პასუხი არ გავსცე. ჩემს მოვალეობათ ვსთვლი აღვნიშნო, რომ ჩემთვის და ჩემი ამხანაგებისათვის მეტის მეტად ძნელი იყო თქვენი ბრალდებების მოსმენა. მართლაც ამაზე უფრო მძიმე ბრალდებების წარმოდგენა ძნელია, ვინაიდან ჩვენ აქ ბრალს გვდებენ ყოველგვარ მომაკვდინებელ ცოდვებში. ბრალს გვდებენ იმაში, რომ ვითომ ჩვენ ვისარგებლეთ მდგომარეობით და ხელთ ვიგდეთ ის, რაზედაც უფლება არ გვქონდა, რომ ჩვენ ძალადობას ვხმარობთ რუს მცხოვრებლებზე, განსაკუთრებით კი რუს ოფიცრობასა და მოხელეებზე და საერთოდ მთელი ჩვენი პოლიტიკით ჩვენ ვქმნით ისეთ ატმოსფერას, სადაც შეუძლებელია ურთიერთ შორის შეთანხმებით თანამშრომლობა—მუშაობა.

მე ვიტყვი, რომ ჩვენ ასეთი ხასიათის ბრალდებანი არ გვაშინებს მაშინ, როცა მას ვხედავთ ჩვენ უპასუხისმგებლო ორგანოს ფურცლებზე, სადაც ტალახიანი ხალხი ერთ ერს მეორის წინააღმდეგ უსისინებს და ილაშქრებს იმ პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ, რომელიც მას არ მოსწონს და ჩვენ დამშვიდებით უყურებთ ამას, რადგანაც ჩვენ ვფიქრობთ, რომ პასუხისმგებელმა ხელმძღვანელებმა იციან სიმართლე, სინამდვილე და თავიანთ ბრალდებებს არ აშენებენ ქუჩურ ჭორებზე. გენერალ ალექსეევს იცნობს მთელი რუსეთი, ვიტყვი მეტსაც, სხვაგანაც იცნობენ. ჩვენ მივეჩვიეთ მის პატივცემას, თუმც შეიძლება მის პოლიტიკას და შეხედულებებს არ ვიზიარებდეთ და როდესაც გენერალი ალექსეევი შესაძლებლად ცნობს გაიმეოროს ეს ბრალდებანი იმ ფორმით და ტონით, რომლითაც მან ეს აქ გააკეთა, მაშინ მე ვფიქრობ, რომ საქმე მართლაც სერიოზულ ხასიათს იღებს. მაგრამ თავისთავად რაზეა აშენებული ეს ბრალდებები? უწინარეს ყოვლისა მოვალეთ ვრიცხავ თავს თქვენი ყურადღება მივაპყრო იმ გარემოებას, რომ საქართველომ თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა 26 მაისს მხოლოდ მაშინ, როცა რუსეთი საბოლოვოთ დაინგრა, როცა მთელ რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენდა 2000 სხვა და სხვა რესპუბლიკები, როცა საბოლოოდ დაგვეკარგა იმედები, ახლო მომავალში რუსეთის მთლიანი ფრონტის აღდგენისა, მხოლოდ მაშინ, ექვსი თვის ტანჯვის შემდეგ რომელიც შედეგი იყო საგარეო ფრონტზე დამარცხებისა, საქართველო მიტოვებული ყველასაგან თავის ძალების ამარა, იმისთვის რომ ეხსნა თავისი თავი და შეენარჩუნებინა ხალხის ფიზიკური არსებობა, იძულებული იყო ეს ნაბიჯი გადაედგა. მაგრამ სანამ ჩვენ ამ ნაბიჯს გადავდგამდით. მანამ მივმართეთ ყველას დახმარებისათვის, მივმართეთ ბოლშევიკებსაც, მაგრამ ჩვენი ძახილი დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ცენტრო ფლოტის ღალატს, გაცემას, წინააღმდეგ ჩვენ მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებისა, რომელიც გვარწმუნებდა ვილჰელმის დეპეშით იმაში, რომ არც ერთი გემი არ წავა ბათუმის დასაცავად. აი სწორეთ ასეთ მომენტში, 26 მაისს 1918 წელს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. რაც შეეხება იმ ბრალდებებს, რომელიც წამოყენებულია საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ და გამოიხატება რუს ოფიცრების დევნაში, მე როგორც საქართველოს რესპუბლიკის ოფიციალურ წარმომადგენელს ჩემს მოვალეობად მიმაჩნია განვაცხადო, რომ ეს ბრალდებები სრულიად უსამართლოა.

სად, თუ არა საქართველოში მიდიოდენ აფიცრები, როცა მათ რუსეთში დევნა დაუწყეს? ყველა კუთხეებიდან მოდიოდენ აფიცრები და ჩვენ მათ ვღებულობდით და ჩვენ სუსტ საშვალებებს მათ უზიარებდით, ვაძლევდით ჯამაგირებს, ვკვებამდით მათ და შესაძლებლობის ფარგლებში ყოველგვარ დახმარებას უწევდით. და მე ამაყათ შემიძლია აქ განვაცხადო, რომ იმ დროს როდესაც მთელ რუსეთში გამეფებული იყო საშინელი თვითგასამართლება, მაშინ მხოლოდ ჩვენში, საქართველოში არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა რუსი აფიცრის თვითგასამართლებისა და მასზე ძალადობისა. ეს მიეწერება მასის შეგნებას და პოლიტიკურ ხელმძღვანელების მუშაობას. როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, მაშინ რუსი აფიცრობის ზოგიერთმა ნაწილებმა მტრული განწყობილება გამოიჩინა ამ გარემოებისადმი, თითქმის მის წინაშე დანაშაულიც კი ჩაიდინეს ზოგიერთებმა. და სავსებით ბუნებრივია რომ როცა დაუმტკიცდა აფიცერთა ერთ ჯგუფს საიდუმლო საწყობების დაწვა, მეორეს კი დიდძალი ასაფეთქებელი მასალები აღმოჩნდა მალულად შენახული, მოხდა ზოგიერთ მათგანის დატუსაღება და მათ მოექცენ ისე, როგორც დამნაშავეთ. ნაწილი დამნაშავეთა და საეჭვო პირთა გადაასახლეს საქართველოს საზღვრებიდან. ამ გარემოებამ შექმნა ერთი ჯგუფი უკმაყოფილო ხალხისა, რომელთა სულიერი განწყობილება საქართველოს წინააღმდეგ სავსებით გასაგებია. შემდეგ თბილისში, როგორც მთელი მხარის ცენტრში, მოგროვდა დიდი რიცხვი მოხელეებისა, რომელნიც საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების შემდეგ უსაქმოდ დარჩენ, ამასთან ერთად დაკავშირებულია შტატების შემცირება და ზოგიერთ დაწესებულებათა ლიკვიდაცია. ყველა მათ მიეცა სალიკვიდაციო ფულები, მაგრამ აშკარაა, რომ იმ სიძვირეში, როგორიც არის თბილისში, ეს ფულები მათ დიდხანს არ ეყოფოდათ. სავსებით გასაგებია ამ ჯგუფის დამოკიდებულებაც საქართველოს რესპუბლიკასთან, მაგრამ სრულებით უსამართლო და უსაფუძვლოა ამ ორი უკმაყოფილო ჯგუფის საქართველოსთან განწყობილებაზე ააშენოთ ბრალდებები საქართველოს და მის მმართველ წრეების წინააღმდეგ. ყველაფერი ის, რაც მე აქ ვსთქვი, დამტკიცებული იქნება ობიექტიური საბუთებით. და მე ვფიქრობ, რომ არ არის არავითარი დანაშაული იმაში, რომ როცა შენდება ახალი სახელმწიფო ის, როგორც ასეთი, ყოველგვარ ზომებს ხმარობს, რომ როგორმე თავი დააღწიოს ზედმეტ ხარჯებს, რომელსაც იწვევს ზედმეტი მოხელეების ყოლა და აგრეთვე იმის წინააღმდეგ, ვინც განიზრახავს მისი მთლიანობის დარღვევას. დიახ, ჩვენ, ისევე როგორც თქვენ, ვიცავთ ჩვენს სახელმწიფოს და ჩვენ ვიცით შემთხვევები თუ როგორ და რა ზომებით იცავთ თქვენ თქვენს თავს. ყველა დანარჩენ საკითხებზე ჩვენ ვილაპარაკებთ იმ პროგრამის თანახმად, რომელიც შემუშავებული გვაქ. მე კი მინდოდა ამ წინასიტყვაობით გამექარწყლებინა ის ბოროტი სულიერი განწყობილება, რომელიც წინასწარ განზრახ შეუქმნიათ. ჯერჯერობით მე ვათავებ.

**მაზნიაშვილი.** 7 ივლისამდე მე ვიყავი ფრონტზე ოსმალების წინააღმდეგ. ამავე რიცხვიდან, როცა კოჯორთან გამოჩდენ ბოლშევიკები და ჩვენი სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვდენ მათი იქედან განდევნას, მე, ჩემი მთავრობის ბრძანებით, გადავიყვანე ჩემი ჯარი და დავიწყე მოქმედება შავი ზღვის ნაპირებზე, გავწმინდე ის ადგილები ბოლშევიკებისაგან და 14 ივლისს ავიღე ტუაპსე. უნდა გითხრათ რომ მაშინ იმ მიდამოებში გარდა ჩემი ჯარებისა არავისი ჯარი არ იბრძოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ. მოხალისეთა რაზმის არსებობაზე კი ჩვენ სრულიად არ ვიცოდით. ამავე დროს ბოლშევიკების შევიწროებისაგან რომ თავი დაეხწიათ კლუხორის უღელტეხილისაგან იწყეს დენა ყაზახებმა თავიანთ ოჯახებით და მათზე მზრუნველობა ჩემი მთავრობის ნებართვით მე ვიკისრე. მხოლოდ ტუაპსეში გავიგე მოხალისეთა რაზმის არსებობა და ერთი კვირის შემდეგ ეკატერინოდარის აღება. ყუბანის მთავრობამ მთხოვა დახმარება; ამ მიზნით მე წავიწიე წინ ბელორეჩენსკისაკენ და ყუბანის მთავრობის წარმომადგენლის ლაპინის, თხოვნით ავიღე ხადიჟენსკაია. აი, პირველად აქ მოვიდა მზვერავი აფიცერი მოხალისე რაზმისაგან. ამავე დროს სოხუმიდან მოვიდა 87 აფიცერი პოლკ. მოროზოვის მეთაურობით, რომელიც მე დავნიშნე მებრძოლ ნაწილის უფროსათ.

ამ ფრონტიდან რამოდენიმე დღის უკან წავიყვანე ჩემი ჯარი მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ძლიერ მოქანცულნი იყვენ დიდი ხნის განუწყვეტელი ბრძოლით. რაც შეეხება ცნობას ჯავშნიან მატარებლის გაფუჭების შესახებ, ეს სიმართლეს მოკლებულია. მე მაქვს საბუთი გენ. მასლოვსკისაგან, რომელმაც ის ჩაიბარა, და ამ საბუთში ნათქვამია, რომ მატარებელი გაფუჭებული არ არის. შეიძლება ის დაზიანებულიც იყოს, ამას მე არ უარვყოფ, მაგრამ ეს მოხდებოდა ბრძოლის დროს, ასე რომ მატარებლის გაფუჭების შესახებ ცნობა სიმართლეს არ შეიცავს და აი ამისა საბუთიც. მოვალეთ ვრაცხ ჩემს თავს შეგატყობინოთ, რომ სამხედრო თვალსაზრისით შეცდომა იყო, რომ მე ტუაპსე დავტოვე. ამის მიზეზი ის იყო, რომ მოხალისეთა რაზმის ერთმა ნაწილმა, რომელმაც განდევნა ბოლშევიკები ნოვოროსიისკიდან, არ მაცნობა ტუაპსეზე მომავალ ჯარის რაოდენობა; მაცნობეს მხოლოდ ის, რომ მოდიან დამარცხებული ბრბოები, რასაც მე ჯეროვანი ყურადღებით არ მოვეპყარი და უმთავრესი ჩემი ძალა მეორე ფრონტზე გადავიყვანე, მაშინ როდესაც მე მომიხდა ბრძოლა 11 ათას კაცთან 200 კაცისაგან შემდგარი რაზმით. ნათქვამიდან აშკარად სჩანს, რომ ჩემს წინსვლას არ ჰქონდა დაპყრობითი მიზანი, არამედ ის იყო გამოწვეული ყუბანის მთავრობის თხოვნით და ბოლშევიკებისაგან თავდაცვის მიზნებით. ტუაპსეში ავიღეთ არა 800,000 მანეთი, არამედ 671,000 მანეთი, მაშინ, როცა ბოლშევიკები ტვირთავდენ დრეზინას. ეს ფული ხაზინაშია, რომლისაგანაც შავი ზღვის რკინის გზის მოთხოვნილებისათვის მივეცით ერთხელ 200,000 მანეთი და მეორეჯერ 240,000 მანეთი. ამრიგათ უმეტესი ნაწილი ამ ფულებისა დავაბრუნეთ დანიშნულებისამებრ. რაც შეეხება გემებს; ნავთსადგურების აღების დროს მე მიხდებოდა მათი დატუსაღება, რადგანაც მათი შემადგენლობა ბოლშევიკური იყო ... ცდილობდენ ბოლშევიკებთან ... ახლა მათ ... შეეხება „ზნამენოსეც"-ს, რომელიც ... დაატყვევეთ, უნდა ვსთქვათ, რომ ის ... ნიკებული ჰქონდა შავი ზღვის გზას ... ვისი ნებით, მას გადახდა 10,000 მან... თის ფრახტი; ამავე დროს, გაუგებ... მიზეზების გამო, მისგან აღებულ... 100,000 მანეთი საწინდრად.

იმ კონვენციით, რომელზედაც ... ლი ქონდა მოწერილი შავი ზღვის გ... ყველა გემები წავლენ იმ ნავთსადგურ... ში, რომელზედაც თვითეული მათგა... მიწერილია. რადგანაც მიხდებოდა ჩ... თადარიგიდან ყაზახები და მათი ოჯ... ხების საზრდოება, რომელიც დარგოვი... იყვენ სოხუმში, ყუბანის მთავრობამ გ... იღო ეს მხედველობაში და როგორც ... ლი გადამიხადა 5,000 ფუთი ფქვილი ... 8,000 ფუთი ქერი. ამასობაში სამხედ... გუბერნატორმა დაატუსაღა ეს ტვირ... და არ უშვებს მას.

**დენიკინი.** ეს კითხვა აღძრული ... მხოლოდ გუშინ და მისი გასათავის... ლებლად მოხდენილია განკარგულება.

**ბიჩი** არა ეს კითხვა დიდი ხანია ა... ძრულია.

**დენიკინი.** ჩვენ უბრძანეთ დაეკავები... ისინი მანამ, სანამ არ გამოირკვეოდა ... ზანი სოჭაში საქართველოს მიერ ... მის გადმოსხმის შესახებ.

**გეგეჭკორი.** რამდენათაც მე ვი... ბრძანება პურის დაკავების შესახებ ... მოცემული იყო იმაზე ბევრათ ადრე, ... ნამ საქართველოს რაზმი სოჭაში გად... ვიდოდა.

**ვორობიოვი.** იცით თუ არა თქვ... რომ გემებმა, „გენერალმა" და „კორ... დილომ" გამოიტანეს ფოთიდან და ... გზავნეს კონსტანცაში 60 ვაგონი პუ... და 17 ვაგონი რეზინის მინები.

**გეგეჭკორი.** მინების შესახებ ცნო... არ გვქონია, მაგრამ პური მათ შეუძ... ათ იყიდონ თავისუფალ ფასებში და ... გზავნონ კიდეც.

**სტეფანოვი.** მართალია თუ არა ... ცნობა, რომ საქართველოს მთავრობ... სათვის წინადადება მიუციათ ქუთაის... გადავიდეს.

**გეგეჭკორი.** ეს ტყუილია. გარწმუ... ბთ, რომ საქართველოს შინაურ საქ... ებში ვერავინ ჩაერევა მანამ, სანამ მთ... რობის სათავეში იქნებიან ისინი, რომ... ნიც დღეს არიან.

**შულგინი.** მე ვფიქრობ, რომ უკე... სია დაუმალავად ყველაფერი ბოლომ... ვსთქვათ. აქ ეკატერინოდარში მოდ... ბევრნი და მოგვითხრობენ, რომ საქარ... ველოში დევნიან და ავიწროებენ ... სებს, აფიცრებს, მოხელეებს, ენას, სას... ვლებელს და სხვა, მე მესმის, რომ ... ლა ამრიგათ მონათხრობებს დიდი ს... რთხილითა და კრიტიკით უნდა მო... ყრათ, რადგანაც ამას ლაპარაკობენ ... გრანტები, შეურაცხყოფილნი; მაგ... თუ ჩვენ ობიექტიურად ვიმსჯელ... უნდა ვსთქვათ, რომ ნაწილი მაინც ... თალი იქნება. მე ძლიერ მესიამოვნ... პ. გეგეჭკორის სიტყვა, რომ საქა... სახელმწიფოს დაცვა და ბრძოლა ... ხალხთან, რომელიც ანგრევს მას, თ... ცა უნდა ვსთქვათ, რომ წინეთ ეს ... გამიგონია მისგან. სახელმწიფოს და... ძნელია მათთვისაც, ვინც დიდი ხ... ემსახურებოდა ამ საქმეს და ვინც ე... ხნ შეუდგა ამ გზას ის ამ დაცვის ... მეში შესაძლებელია ადვილად გა... ცილდეს ლოიალობის საზღვარს და ს... დება თუ არა საქართველოს ახალი მთ... რობა ამ საზღვარს? ეს ერთი. მეო... ნება მომეცით განვაცხადო, რომ გან... ღვრულ სივრცეში დღეს ცენტრი მო... ლისეთა ჯარს უჭირავს და ჩვენ ... დავთ, რომ ჩრდილოეთით მას ავიწ... ვებენ ბოლშევიკები, დასავლეთით ... მანელები, აღმოსავლეთით ბაქოში ... ლები და გერმანელები და ამავე დ... სამხრეთით შევიწროებას უწყებს საქ... თველო.

გვითხარით პირდაპირ, რომ თ... მონაწილეობას ღებულობთ მოხალ... რაზმის შევიწროების, გარსშემოვლ... კომბინაციაში. თუ თქვენ მონაწილე... ღებულობთ, მაშინ გასაგებია, რომ ... სებთანაც ბოლიშს არ დაიწყებთ. ... მაგალითი ჩვენ გვაქვს უკრაინაში. ... ვძლევი პირდაპირ ამ კითხვას და ... რობ, რომ შემდეგში ეს გაგვიადვი... ჩვენ მოლაპარაკებას.

(გაგრძელება იქნება)

სარედაქციო კოლეგ...
გამომცემელი— ცენტრალ...
კომიტეტ...